645/2
1988

4 ISSN 0821-1509
1988

# საქართველოს ქალი



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი
მარიკა
ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი ბურჯანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ზინაიდა კვაჭაძე, ლია კაკაბაძე (პ. მგ. მდივანი), ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ქვანია, პეტრე ძლენტი, ცინარა ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნადეჟდა შალუტაშვილი, ლუბა შეწირული, ნინო ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველი და მეოთხე გვერდის ფოტოები ალექსანდრე კოსინეცის

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.

# მოდურიც, ლამაზიც!

მარტის თვეში საქართველოში იმყოფებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. ბირიუკოვა. იგი გაეცნო რესპუბლიკის ცხოვრებასა და საქმიანობას, შეხვდა საწარმოთა შრომით კოლექტივებს, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, კულტურის მოღვაწეებს. ესაუბრა მუშებს, სპეციალისტებს, წარმოებათა ხელმძღვანელებს. ამხ. ა. პ. ბირიუკოვამ ყურადღება გაამახვილა საწარმოთა პროდუქციის ხარისხზე, აღნიშნა ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის აუცილებლობა, წამოაყენა საქმიანი წინადადებანი, დიდი ყურადღება დაუთმო მშრომელთა სოციალური სფეროს საკითხებს. ჩამოსვლის პირველ დღეს ამხ. ა. პ. ბირიუკოვა სტუმრად იყო თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში.

* * *

რუსთაველის გამზირზე თბილტანსაცმელვაჭრობის № 41 მაღაზია მარმან საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საფირმო მაღაზიად გადაკეთდა. „ქსოვილები" რესპუბლიკის მარკის პროდუქციით ვაჭრობს.

შემოდგომაზე აქ მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" ახლადათვისებული ასორტიმენტის ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. ამ საწარმოს ქსოვილები ლამაზი ფერების შეხამებითა და მოდური გაფორმებით გამოირჩევა. მაღაზიაში ახალი ასორტიმენტი მცირე პარტიებად შემოაქვთ და მომხმარებელი სიამოვნებით იძენს მას.

კომბინატის ხელმძღვანელები, მქსოველები, ქიმიკოსები მაღაზიაში ეცნობიან მყიდველთა მოთხოვნებს, მათ აზრს ავიანთი პროდუქციის შესახებ. დახლებზე ჩარიგებულია ხეზოხური მოდური საკაბე, საკოსტუმე, საპალტოე...

ადრიანი დილაა. კომბინატის ტერიტორია მწვანე სამოსელში გახვეულა, მზრუნველ ხელს სკვერები ხალიჩასავით მოუხატავს. ირგვლივ სისუფთავე და წესრიგია. შენობათა სარკმლებიდან მოდის მანქანა-დანადგართა მწყობრი ხმა იმის. მქსოველები, მრთველები, მგრეხავები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები კამვოლურ და მაუდის საამქროებში თავს დასტრიალებენ დანადგარებს.



სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ალექსანდრა ბირიუკოვა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში

თვალსაჩინო ადგილას მუდმივ ტრანსპარანტზე წარწერას ვკითხულობთ „ჩემი წარმოება — ჩემი სიამაყეა". მართლაც, ეს სიტყვები მას ეკუთვნის, ვისაც მაუდ-კამვოლის კომბინატის მუშაკის სახელი ჰქვია.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო" პირველი ხუთწლედის პირმშოა. 1930 წლის 25 თებერვალია მისი დაბადების თარიღი. კომბინატში ამჟამად 2425 მუშა-მოსამსახურე მუშაობს, ამათგან 1700 ქალია. მათი პროდუქცია საპალტოე და საკოსტუმე მაუდისა და კამვოლური ქსოვილებია.

საქმიანობის გარდაქმნის, სახელმწიფო მიღებისა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვის პირობებში მაუდ-კამვოლის კომბინატმა ფეხი აუწყო დროის მოთხოვნას, კომბინატის პროდუქცია მომხმარებელს მოსწონს, რადგან იგი მოდური, ხარისხიანი და ლამაზია, აკმაყოფილებს სხვადასხვა ასაკისა და გემოვნების ადამიანთა მოთხოვნებს.

სახელმწიფო მიღებაზე საწარმო შარშან იანვარში გადავიდა და გაამართლა კიდეც. ძირეულად განაახლეს ასორტიმენტი. ქსოვილის 37 პროცენტს ხლართი, სახე და გაფორმება შეუცვალეს.

ამჟამად ხელმძღვანელისათვის ახლებური აზროვნება, წარმოების კულტურის ღრმა ცოდნა აუცილებელია. შრომის ანაზღაურების, მატერიალური სტიმულირების დონე ხარისხზე აიგო. ხარისხის გასაუმჯობესებლად შემოღებულმა მეთოდებმა საწარმოში მუშაობის გარდაქმნა გამოიწვია, ამაღლდა თითოეული რგოლის პასუხისმგებლობა.

წინათ ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, დანადგარების ტექნიკური მდგომარეობა, ტექნოლოგიური რეჟიმი არ შეესაბამებოდა მოთხოვნებს. სახმილებისას კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა შეიქნა აუცილებელი. კოლექტივმა მიზნად დაისახა პროდუქცია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი ყოფილიყო და დაიწყო მათი მუშაობის გარდაქმნა. ვიწრო ადგილს მაუდის წარმოება წარმოადგენდა. საკარბონიზაციო აგრეგატი წესრიგში მოსაყვანი იყო. სიძნელეები ხვდებათ მუშაობაში, რომლებსაც თანდათან ასწორებენ. ძველი დანადგარების დაშლა და ახლის დამონტაჟება-გამართვა გეგმაზომიერად მიმდინარეობს.

წარმოების ტექნოლოგიური განახლება, ასევე რიგ უბნებზე არსებული საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება, ტექნიკური გადაიარაღების აუცილებლობა მთავარ ამოცანად დაუსახავთ. საქსოვი დაზგების 17 პროცენტი მოძველდა. კომბინატში ახალი ტექნიკა შემოაქვთ. 13 საგრეხი, 6 სართავი მანქანა დაამონტაჟეს. ამას ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის. საჩეჩ საამქროში ფთილის ხარისხის ასამაღლებლად ტექნოლოგიური პროცესი გაახანგრძლივეს. ასევე მოხდა სავარცხნსალენტე უბნებზეც.

საწარმოო სიმძლავრეებს ინტენსიურად ითვისებენ. მაუდის წარმოებაში საჩეჩი აპარატები შემოიტანეს, ხოლო კამვოლურ წარმოებაში ორმაგი გრეხვის საგრეხი, სართავი მანქანები და საფთილე ასორტიმენტის მეორე ხაზი დაამონტაჟეს და ექსპლოატაციაში გაუშვეს. ამ დანადგარების გამართვამ პროდუქციის ხარისხი, მრთველის, მეფთილესა და მელენტის შრომის პირობები გააუმჯობესა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



მაუდკამვოლური მელენტე ირმა ლომიძე



მაუდკამვოლური გადამხვევი ირმა შიოშვილი



ცვლის ოსტატი ვალია ჭერანაშვილი და მგრეხავი მაია კახიძე

კომბინატი 1988 წლის იანვრიდან სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა. თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე, ანაზღაურების ახალ ფორმაზე გადასვლამ მემაუდეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება გამოიწვია. თითოეული მუშაკის საშუალო თვიური ხელფასი 20-30 მანეთით გაიზარდა.

მუშები მრავალცვლიანი შრომის რეჟიმით—მცოცავი გრაფიკით მუშაობენ. კოლექტიურმა პასუხისმგებლობამ მკაცრი ურთიერთკონტროლი, მეტი მომთხოვნელობა დაამკვიდრა.

კომბინატის დირექტორი მამია თენიეშვილი თავდაპირველად-ორი წლის წინათ, ცვლებში შეხვდა მუშებს. სახელმწიფო მიღებაზე, ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის თაობაზე ესაუბრა მათ. საერთო აზრი აწონ-დაწონეს, შეფერხებების აღკვეთის აუცილებლობანი გაიანგარიშეს. კოლექტივმა, მუშებმა დირექტორს მხარი დაუჭირეს. საწარმოში მუშათა დენადობა შემცირდა.

— მუშას გარდაქმნას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას თხოვ, მას ხომ პირობები, მუშაობაში თანადგომა სჭირდება. კომბინატის დირექტორმა საქმე აქედან დაიწყო: დანაგვიანებული ტერიტორია გაიწმინდა, სასპორტო მოედნები მოეწყო. შედიხართ ვრცელ, ნათელ დერეფანში. აქ ფართო პროფილის სამედიცინო პუნქტია. მუშაობენ თერაპიული, სტომატოლოგიური, გინეკოლოგიური კაბინეტები. პერიოდულად მუშა-მოსამსახურეთა სამედიცინო გამოკვლევა წარმოებს. მოდიან სისხლის გადასხმის ინსტიტუტიდან, მოდიან პროფესორთა, ექიმთა ბრიგადები, კანის, გულის სპეციალისტები, პროფილაქტიკის მიზნით წარმოებს რენდგენის, კარდიოლოგიური გადაღებები.

მუშათა სასადილოს ყოველდღიური მენიუ მრავალფეროვანია, ადგილზე აქვთ სასურსათო, ნახევარფაბრიკატების მაღაზიები, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო, „სილამაზის სალონი". კულტურის სახლში თვითმოქმედი წრეები მუშაობენ. კომბინატს დასასვენებელი სახლები აქვს კიკეთსა და ქობულეთში. ამ აგარაკებზე ოჯახებით ისვენებენ.

თანამედროვე ტიპის საბავშვო ბაგა-ბაღის ახალი შენობა ააგეს. ამ სკოლამდელ დაწესებულებაში 200 აღსაზრდელი ჰყავთ და სადღეღამისო მუშაობითი რეჟიმია.

მართვის ახალ სისტემაზე გადასვლისას შრომის ნაყოფიერების გაზრდას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. ნაკლები მუშახელით მეტი პროდუქციის წარმოება არის მთავარი დევიზი. შეეცადნენ წარმოებაში ნედლეულის ნარჩენები შეემცირებინათ. შედეგი ასეთი მიიღეს: 13 პროცენტით გაიზარდა ნორმატიული წმინდა პროდუქციის გამოშვება, შრომის ნაყოფიერება 16,5 პროცენტით ამაღლდა.

საქსოვი წარმოების უფროსი დევი გამყრელიძე, გათბობა-განიავების საამქროს უფროსი ჯემალ ნასიძე, კომბინატის მთავარი ეკონომისტი მელიტა რევაზიშვილი, შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი ნათელა კეკელიძე, შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის ბიუროს უფროსი ელენე მარიამიძე მართვის ახალი სისტემის საწარმოში დანერგვის აქტიური მონაწილენი არიან.

წინათ წარმოება წამგებიანი იყო. 1985 წელს კომბინატის ზარალი მილიონ 256 ათას მანეთს შეადგენდა, 1986 წელს კი მომგებიან საწარმოთა რიგებში გადაინაცვლა. 1987 წელი 5 მილიონ 250 ათასი მანეთის მოგებით დაასრულეს. ზეგეგმიურმა მოგებამ 900 ათასი მანეთი შეადგინა.

ნედლეულის ძირითადი მომწოდებელნი შულავერის, ევლახის მატყლის პირველადი გადამუშავების ფაბრიკები არიან. ქსოვილს კომბინატი მოწოდებული მატყლისაგან ამზადებს.

შულავერის სამამულო ნედლეული მეტწილად დაბალი ხარისხის იყო და მათ მკაცრადაც მოჰკითხეს. ამჟამად არც ერთ გრამ უხარისხო ნედლეულს არ მიიღებენ კომბინატში, ეს მათი კატეგორიული მოთხოვნაა და ასრულებენ კიდეც.

სიახლეების ძიება ფაბრიკის კოლექტივის უპირველესი საზრუნავია. გამოიყენეს ანგორის თხის მატყლის ბოჭკო, რამაც სამაუდე დართვაში საპალტოე ქსოვილებს ბზინვარება, ელასტიურობა და მიმზიდველობა შემატა. დაბალი ნომრის ლავსანის და პროფილირებული კაპრონის ბოჭკოთი, სხვადასხვა კომბინირებული ხლართით, აბრეშუმის ნარჩენების ფერადი სორსლებით ახალი სახის პროდუქცია მიიღეს. აი, რაზე მუშაობენ დესინატორები, სამხატვრო სახელოსნოს თანამშრომლები სახელოსნოს უფროსის თინა ჯიშკარიანის ხელმძღვანელობით.

არსებულ დანადგარებზე ამათუიმ ბოჭკოსაგან მოდური ქსოვილის მისაღებად შემოქმედებით ძიებაშია კომბინატის მთავარი ინჟინერი ომარ თეთრაშვილი.

კომბინატს მრავლად ჰყავს სახელოვანი ადამიანები, შრომის ენთუზიასტები, ესენი არიან: მრთველები ნათელა ვიბლიანი და მაყვალა კეკენაძე, მქსოველები ნათელა პოსოშვილი, ვენერა ავალიშვილი, ვალია ფირონოვა, ლილი და ნატო ალთუნაშვილები. ახალ გარდაქმნებს ახალი მაჩვენებლებით უპასუხებს სახელგანთქმული ვერა ქემაშვილის მაუდის სართავი საამქროს ბრიგადა. რომელი ერთი დავასახელოთ? მოწინავე ბევრია.

მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" პროდუქცია საკავშირო და რესპუბლიკური თითქმის ყველა ბაზრობის მონაწილეა. მომხმარებლებში სახელი გაითქვა და კომბინატი რესპუბლიკის სანიმუშო საწარმოდ იქცა. წრფელია მუშის ბუნება და ხასიათი, როცა შრომის დაფასებას, თანადგომას ხედავს. მემაუდეები თავიანთ გულისთქმას ამიტომაც ასე გამოხატავენ: „ჩემი წარმოება — ჩემი სიამაყეა!"

ეთერ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასკოლო ცხოვრების გარდაქმნისათვის

# რატომ არ მიუხარია ბავშვს სკოლაში?



ვიწყებთ საუბარს იმ ნაკლოვან მხარეებზე, რასაც ადგილი აქვს ჩვენი რესპუბლიკის და კერძოდ, თბილისის სკოლებში. ამჯერად იგი სწავლის საკითხებს კი არ მოიცავს, არამედ იმ არასასიამოვნო პირობებს ეხება, რომლებიც სწავლისათვის ნაკლებად განაწყობს ბავშვს, გულს უცრუებს სკოლაში წასვლაზე, არჩევს გამოიყენოს რაიმე პატარა მიზეზი და შინ დარჩეს.

ეს ყველაფერი, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ, ალბათ კარგად არის ცნობილი მშობლებისათვის, პედაგოგებისათვის, სკოლის ხელმძღვანელობისათვის. ცდებიან სკოლის ის მესვეურნი, რომლებსაც ჰგონიათ, რომ მთავარია მაღალ დონეზე ჩატარდეს გაკვეთილი, ბავშვებმა აითვისონ გადაცემული მასალა, ხოლო, თუ როგორ გარემოს დაახვედრებენ საამისოდ, როგორ განაწყობენ მათ სწავლისათვის, როგორ დააკმაყოფილებენ მათ აუცილებელ ადამიანურ მოთხოვნებს, ამაზე ნაკლებად, ან სულაც არ ზრუნავენ.

ძვირფასო მკითხველებო — მშობლებო, მასწავლებლებო! თუ რაიმე აზრი გაგიჩნდებათ ჩვენს მიერ დასმულ სადისკუსიო საკითხების ირგვლივ, გთხოვთ გამოგვეხმაუროთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები, მოიყვანოთ სწავლის ხელშემშლელი სხვადასხვა მოტივები, რომელთა გადაწყვეტა დღეს ასე აუცილებელია იმისათვის, რომ გარდაიქმნას არა მარტო სწავლების პროცესი, არამედ გაუმჯობესდეს ფიზიკურად ჯანმრთელი თაობის აღზრდის პირობები.

გახსოვთ შიო მღვიმელის ლექსი „ყინვა და პატარა მოწაფე"? დაღლილი, გაყინული ბავშვი ყინვას არ უშინდება და გარბის სკოლისკენ, რომელიც არც ისე ახლოა. გოგონას სწავლა წყურია. ეს ალბათ თანდაყოლილი ინსტიქტიცაა — გაგების, წვდომის, გაცნობიერების...

არც ისე შორეულ წარსულში — მთელი 4 წელი და მეტიც საბჭოთა ბავშვებმა გაყინულ სკოლებში გაატარეს, პალტოებითა და კალოშებით. ომი იყო და ამას არაფრად აგდებდნენ, ალბათ უარესსაც აიტანდნენ, როცა იცოდნენ, რომ ეს მდგომარეობა დროებითი იყო.

მაგრამ სხვა დროა დღეს. კულტურა და ყოფა შეიცვალა, ხალხი კეთილმოწყობილ თბილ ბინებში ცხოვრობს, სადაც წესრიგია, ზამთრობით არსაიდან არ უბერავს, ყველა შუშა ჩასმულია, კარებები იხურება, და ამ დროს...

ყოველ დილით ბავშვი შედის გაყინულ სკოლაში, სადაც გათბობის სისტემა წესრიგში არ არის მოყვანილი და პალტოს გახდა შეუძლებელია, სადაც ძლივს ბუტავს რადიატორი და ხელებს ვერ ითბობენ, რომ წერითი სამუშაო შეასრულონ. ზოგიერთი მასწავლებელი „ცდილობს“ სპარტანულად აღზარდოს მოსწავლე, გამოაწრთოს, გააკაჟოს და აიძულებს პალტო გაიხადოს, თავად კი ამ დროს ქურქი წამოუსხამს. და... სიცივით შეწუხებული ბავშვი ყურადღებას ვერ ამახვილებს სწავლაზე, ფიქრობს, როდის დაირეკება ზარი და როდის მოახლოვდება შინ წასვლის დრო. მას უჭირს პალტოთი ჯდომა, უპალტოოდ კი მთელი სხეულით ძაგძაგებს, კბილს კბილზე აცემინებს.

არ გეგონოთ ეს სადმე მიყრუებულ მთიან სოფელში ხდებოდეს. ამგვარი ფაქტები თბილისის ბევრ სკოლაშია. ჩვენ გაუთბობელი ან ოდნავ შემთბარი შენობით დავიწყეთ. ეს ერთ-ერთი ხელისშემშლელი გარემოებაა, რომელიც გამაღიზიანებლად მოქმედებს ბავშვზე და მას სკოლაში სიარული აღარ სურს (რაც შემდეგ ჩვევაში გადადის).

აქედან გამომდინარე, ხშირია გაცდენებიც. რატომ არ ფიქრობენ პედაგოგები, როცა საყვედურობენ ბავშვებს გაკვეთილების გაცდენის გამო, აღკვეთონ მისი გამომწვევი მიზეზები? აბა, რამდენი გატეხილი შუშაა ჩასასმელი და ამისთვის თავს არავინ იწუხებს.

სწავლის ხელშემშლელი პირობების შესახებ რედაქცია შეწუხებული მშობლების საყვედურებს განუწყვეტლივ ისმენს. ისინი გვთხოვენ დავწეროთ, შევაფუცხუნოთ სკოლის მესვეურები და მერე თავს გვანებებენ, ხვალის იმედით რჩებიან, ცდილობენ ზამთარი როგორმე გაიცილონ, გაზაფხულის მოახლოებამდე დღეებს ითვლიან. რომ დაუკვირდეთ, ძნელია მათი მდგომარეობა — წარა-მარა ავად უხდებათ შვილები, რომ ჰგონიათ, სკოლაში კალორიულ, მაწიერ საჭმელს მიირთმევენ, ეს ილუზიაა მხოლოდ, განა შეიძლება საუზმობა ეწოდოს მოსწავლეთა წახემსებას (ხშირად ფეხად) გამხმარი ქადით, გაშფეკილი კატლეტით ან იაფფასიანი ძეხვით? ცხელ კერძზე ლაპარაკიც ზედმეტია. სკოლები, სადაც ცხელი კერძებია, თითებზე ჩამოითვლება. დანარჩენები? განა იქ ბავშვები არ არიან? განა არსებობს ადამიანი, რომ 5-6 საათის განმავლობაში არ მოშივდეს? რა ქნან? ან უნდა დაკმაყოფილდნენ იმით, რასაც სასკოლო კვების კომბინატები უგზავნიან, ანდა უნდა გადაირბინონ ქუჩა, რომ უახლოეს საფუნთუშეში ფუნთუშა იყიდონ. სახელი ძველი შემორჩა, თორემ პური უფროა დღევანდელი ფუნთუშა.

ნამდვილად ცუდად იკვებებიან მოსწავლეები. მოზარდ ორგანიზმს კი, მოგეხსენებათ, როგორი საკვები სჭირდება. კვების მოუწესრიგებლობა — ეს მეორე მტკივნეული საკითხია.

სკოლაში საკვები რომ არ ვარგა, ამიტომ უხდებათ პედაგოგებს საუზმის ტალონების ძალით გასაღება, კვების კომბინატმა ხომ უნდა აინაზღაუროს გაწეული ხარჯები?

დღეს, სკოლა გარდაქმნის ამოცანების წინაშე დგას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა განათლების სისტემის ძირფესვიანი განახლების ამოცანა დააყენა. იმართება დისკუსიები, აზრთა გაზიარება. საჯაროობა ადამიანს საშუალებას აძლევს გამოთქვას თავისი აზრი სასკოლო პროგრამების, სახელმძღვანელოების უვარგისობაზე, პედაგოგთა ნაწილის მოუმზადებლობაზე, იწყება ძვრები ამ საკითხების მოსაგვარებლად, მაგრამ თავიდათავი, საწყისი ამ ძვრებისა ის უნდა იყოს, რომ შევუქმნათ ბავშვებს სწავლის ნორმალური პირობები, სკოლაში ბავშვს უნდა გაეძლებოდეს, სკოლაში ბავშვს უნდა მიუხაროდეს!

სასკოლო ცხოვრება ალბათ ბევრ სადისკუსიო საკითხს წამოაყენებს, რომელთა სწრაფად გადაწყვეტა დღეს ისევე აუცილებელია, როგორც არასდროს. სკოლაში რომ ნაკლოვანებები დაგვიგროვდა და ამან გავლენა მოახდინა სწავლების ხარისხზე, ამას ვერ დავფარავთ.

ავიღოთ თუნდაც სახელმძღვანელოების ტარების საკითხი. მაღალ კლასებში მოსწავლეს 6-7 სქელტანიანი სახელმძღვანელო მიაქვს. ამას ემატება 96 გვერდიანი 6 რვეული და ამისთვის შეუფერებელი სიმძიმის ტვირთს დაათრევს იგი მთელი დღის განმავლობაში, სართულიდან სართულზე, კლასიდან კლასში (ესეც კაბინეტური სწავლების სიკეთე!), და ამას მშვიდად უყურებენ პედაგოგები. რატომ არ ფიქრობენ დასვან ეს მძიმე პრობლემა? ბევრი ბავშვი ხომ ამის გამო ჯანმრთელობას კარგავს, მძიმე ჩანთა მას აღნაგობას უზიანებს, შიდა ორგანოებს უავადებს. დაინტერესდნენ ამ საკითხით სკოლის პედიატრები? სხვა ექიმები? რატომ არ ტეხენ განგაშს?

ვსარგებლობთ საშუალებით და შეგახსენებთ მწერალ ანატოლ მარკუშას ღია წერილს სსრ კავშირის განათლების ყოფილი მინისტრისადმი, ამხანაგ ს. გ. შჩერბაკოვისადმი, რომელიც „ნედელიამ“ დაბეჭდა 1987 წლის 48-ე ნომერში.

მწერალი წუხს, რომ მოსწავლეები სკოლაში მძიმე ჩანთებს ატარებენ, რაც უსათუოდ ცუდად იმოქმედებს მათს ჯანმრთელობაზე. მისი აზრით სქელტანიანი წიგნები ორი წლის პროგრამას კი არ უნდა იტევდეს, არამედ სასკოლო მეოთხედების მიხედვით ბროშურებად უნდა დაიყოს. მწერალი კატეგორიულად წინააღმდეგია 96 ფურცლიანი რვეულის ხმარებისა.

პატივცემულო მინისტრო, გთხოვთ ერთხელ მაინც დააკვირდეთ რომელიმე სკოლის შესასვლელთან დილით მიმავალ ბავშვებს, ნახეთ, რა სახეები აქვთ, განსაკუთრებით პატარებს, ყურადღება მიაქციეთ, როგორ დაჭიმულია მათი სხეული, ჩამოვარდნილია მხრები, ან რა თვალებით იყურებიან...

ასეთი შინაარსით ამთავრებს თავის ღია წერილს ანატოლ მარკუშა.

ჩვენაც ისღა დაგვრჩენია, იგივე გავიმეოროთ.

**ლია კაკაბაძე**

---

**ნოდარ ჯალაღონია**

## ქალი, რომელიც გიყვარს

ბევრი იმედი გაწბილდება,
ბევრი ოცნება გაცივდება...
მაგრამ არასდროს არ გცილდება —
ქალი, რომელიც გიყვარს.

ხანდახან ყოფნა გაძნელდება,
და სიმარტოვე გაგრძელდება...
მაგრამ არასდროს არ გბეზრდება —
ქალი, რომელიც გიყვარს.

წლებმა იციან გამეტება,
სულს ბინდისფერი დაედება...
მაგრამ არასდროს არ ბერდება —
ქალი, რომელიც გიყვარს.
თურმე სიცოცხლე ხანმოკლეა,
მალე ბალახი მოგედება...
მაგრამ არასდროს არ მოკვდება —
ქალი, რომელიც გიყვარს.

1987 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ გოგოლაძე

# წუთისოფელი ასეა...



ერთი კარგი კაცი გარდაიცვალა ვაშლიანში. ოთხმოც წლამდე მოიყარა. წუთისოფელი ისე გალია, როგორც მშრომელ კაცს ეკადრებოდა. მისი აუგი არავის წამოსცდენია და ჩვენც, მის უმცროს მეგობრებს, სიკვდილით გული დაგვწყვიტა.

გურამი, რომელსაც ახლა დასაფლავებაზე მანქანით მივყავდი, გარდაცვლილის ნათესავი იყო. საკუთარი „ჟიგულის" საჭეს უჯდა.

მთელი გზა ნაღვლიან ფიქრებში ვიყავით ორივენი, გვერდიგვერდ უმძრახებივით ვისხედით. ის გზას არ აშორებდა თვალს, მე ცისფერ-მწვანეებში გახვეულ მიდამოს. გავყურებდი ამ ცოცხალ ბუნებას და წუთისოფელზე ვფიქრობდი...

კარგა მანძილი რომ გავიარეთ, გურამმა უცებ შემომხედა და მითხრა:

— მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს ბოლო არ უნდა იყოს...

ისევ გზას გახედა. შევატყვე, რომ ჩემგან სამაგიერო სიტყვას არ მოითხოვდა. თქვა ის, რაც ალბათ ხევდიან ფიქრებში ნატანჯმა დასკვნის სახით გამოიტანა. თუმცა მისი ნათქვამის სიღრმეს ვერ ჩავწვდი, ნაწილობრივ მაინც მივუხვდი... რასაკვირველია, იგი იმ წუთებში სიკვდილზე ფიქრობდა, ისევე, როგორც მე. კაცის დაკრძალვაზე მივდიოდით და ბუნებრივია, ჩვენი აზრებიც იმდღევანდელ ამბებთან იყო დაკავშირებული.

— რას იტყვი, არა ვარ მართალი? — გზას თვალი არ მოაშორა, ისე მკითხა გურამმა.

— ჰო, რა ვიცი... ალბათ მართალი ხარ, მაგრამ მე რომ არ ვიცი, რაზე მეკითხები? თუ ძია ლადოზე... ახლა დაკრძალავენ, მერე ორმოცი, წლისთავი... ხსოვნის დღე, სასაფლაოზე სიარული, მისი სახელის ხსენება... თუკი ლადოზე იფიქრე, რად უნდა იყოს ბოლო!.. კაცური კაცი იყო, თავისი ეცადა. ასეა, კაცი უნდა ეცადოს. თვითონ რომ წავა, ზემოთ რამე უნდა დატოვოს, უკვდავებაში სამუდამოდ გასხივოსნდეს კეთილი საქმით.,. სჯვალდებულო არ არის დიდი სახელი, ეს გენიოსების ხვედრია. პატარა სახელიც კარგია, როცა მას პატიოსნების გვირგვინი ადგას. ლადო პატიოსნად წავიდა და აქაც ბევრი მონაგარი დატოვა.

— კარგად თქვი, ღმერთმანი!.. მე კი სულ სხვა რამის თქმა მინდოდა, ლევან. უფრო ღრმად რომ ჩავწვდეთ... ეს ბოლო არ უნდა იყოს-მეთქი.. გინდა საიქიო დაარქვი და რაც გინდა. მე მაინც არ დავიჯერებ, რომ ბუნების ასეთი უნიკალური და რთული ქმნილების ფიზიკური და სულიერი არსებობა ასე უცებ და უკვალოდ ქრებოდეს... ალბათ არსებობს კიდევ რაღაც, სიცოცხლის თუ არა, სხვა ფორმაში მისი არსებობის გაგრძელება... თორემ რა გამოვიდა?! „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!"

— რელიგიას დიდი ხანია მიგნებული აქვს ის, რასაც შენ ეძებ — საიქიო. იწამე ღმერთი და ყველა ეს შენი საფიქრალიც იოლად მოგვარდება. ეს შიშია, რაც ახლა გალაპარაკებს.

— ნუთუ?!



ავტორის ნახატი

— გაქრობის შიში... ჩემი აზრით, სწორედ ასეთმა შიშმა შვა ღმერთი, უზარმაზარი სამყაროს გამოუცნობი ძალებისადმი შიშმა, მათ შორის თვით სიკვდილის შიშმაც... ახლა გვიკვირს, რატომ უარყო თავისი თავი ადამიანმა, თავისი გონების სიდიადე, რატომ შექმნა ფანტაზიით ღმერთი, რომელსაც დაუკავშირა და მიანდო ბუნების ძალები და თავისი გონების სინათლეც კი... ღმერთმა თავისი სახე მისცა ადამიანსო... პირიქით კი მოხდა. ღმერთი თავისი სახით წარ-

მოადგინა ადამიანმა. რატომ არ განასახიერა იგი სხვანაირად? იმიტომ რომ, ბოლოსდაბოლოს, ადამიანმა მაინც თავისი თავი გააღმერთა, თავისი თავი შეიცნო უზენაესად... ამაშია საქმე!

— მერედა, შეიძლება ამ ღმერთის—ადამიანის ასეთი დასასრული? ესე იგი, გვრჩება მთავარი და აუხსნელი, ფიქრმიუწვდომელი რაღაც...

— სულის არსებობა?

— რაც გინდა უწოდე... ეს მაინც არ არის ბოლო! — ჯიუტად თქვა გურამმა და მანქანა გააჩერა.

გზისპირას წყარო იყო, რომელსაც ვერც ერთი მგზავრი გულგრილად ვერ ჩაუვლიდა. ამიტომ აქ ბევრი მანქანა იყრიდა თავს. აქეთ-იქით დადგებოდნენ და გზის სავალ ნაწილს სტოვებდნენ.

სხვა მანქანებთან ერთად, წყაროსთან, უზარმაზარი „იკარუსი" იდგა. იქიდან უცხოელები გადმოხროვილიყვნენ და წყაროს ხმაურით მისეოდნენ.

დავდექით და დაველოდეთ, სანამ წყაროსთან მიგვესვლებოდა. უცებ ჩვენი ყურადღება მიიპყრო გურჯაანის მხრიდან სწრაფად მომავალმა „ჟიგულმა". „ან ინსპექტორებს გაექცა, ანდა მთვრალია და ერთობა!" — აბა, სხვა რა უნდა მეფიქრა, როცა ვხედავდი, ასე გახელებით მომავალ მანქანას. წყაროსთან მიხროვილ მანქანებს რომ დაუახლოვდა, გაბმული სიგნალიც მისცა.

— გაგიჟდა? — წამოიძახა გურამმა და გზიდან უკან დავიხიეთ.

მანქანამ ჩვენს წინ შლიგინით ჩაიქროლა.

— ლევან, უცებ შემოტრიალდა ჩემსკენ გურამი, — შიო იყო, ღმერთმანი. დოდოც გვერდით იჯდა. ვერაფერი გამიგია, ასე დაფეთებით საით მიჰქრიან, ხიფათს არ ეწიონ?

— მე თვალიც ვერ შევასწარი. ნამდვილად ისინი იყვნენ? ალბათ მოგეჩვენა... დოდომ მიცვალებული მამა დამარხვის ჟამს მიატოვა, შიომ სიმამრი? ისიც შიომ, სხვებზე გადამკვდარგადაყოლილმა! — არ დავუჯერე გურამს. მიკვირდა ან კი როგორ მოჰკრა თვალი ისეთ გამალებულ ქროლვაში... მე თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, მან კი შიოს გვერდით დოდოც შენიშნა!

წყაროსთან მყოფი ხალხი, უცხო და ჩვენიანი ყველა იმ მხარეს უყურებდა, საითკენაც გაქრა გადარეული „ჟიგული". ყველას ფერიფურმა გადაუარა, უცხოელებს ყაყანი შეეწყვიტათ და გახევებულიყვნენ...

ინსპექტორი სულ არ გამოჩენილა. არც სხვა ვინმე ასდევნებია „ჟიგულს".

ვაშლიანის აღმართი რომ ავიარეთ, მთავარი გზიდან მარჯვნივ, შუკაში გადავუხვიეთ.

უჩვეულო სანახაობის მოწმენი გავხდით.

ვისიმე დაკრძალვისას ხალხმა ჩუმი ფუსფუსი იცის. უმეტესობა კი ამ დროს დგას და გამოსვენებას ელოდება. ყველას ნაღვლიანობა ეტყობა, ყველას თავისებურად, მცირესა და დიდ ჭირლობას უხსნის ეს სევდიანი დღე...

აქ კი რა ხდება: ყველანი აწრიალებულან, დაბალ აივანს ეხვევიან. ვიღაც, ეტყობა, ფანჯრის რაფაზე დადგმულ ტელეფონში ჩაჰყვირის:

— თბილისი! თბილისი!.. ჭირმა შეგჭამოს!.. არაფერი მეყურება!..

— ღმერთო, შენ გვიშველე!

— თბილისი!...

— ვაი, ჩვენს დღეს!

ჯერ კიდევ მანქანაში შემოგვესმა ეს ხმები, როცა ღია ჭიშკარს მივუახლოვდით. აწრიალებული მამაკაცები შემოგვეგებნენ.

— რა მოხდა, ხალხო, რა ამბავია? — მანქანიდან გადმოვედით მე და გურამი.

— საწყალ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. ესღა უნდოდათ ამ უბედურებს?!

განა ეს პასუხი იყო!

— მაინც, რა ხდება, ვერ გვეტყვით? — ცოტა არ იყოს, სიფიცხე შეენთო გურამს.

— შიოს გოგო ცაცო თბილისში...

— სამშობიაროში დააწვინეს... ცუდ დღეში ჩავარდნილა, საცოდავი...

— შიო და დოდო გავარდნენ... მერე, როდისა, კაცო!.. საცაა უნდა გამოასვენონ ლადო.

აივანზე ავედით. ქალები ტელეფონს დასტრიალებდნენ. ამ ალიაქოთში, ცრემლის ღვრასა და გაძახებ-გამოძახებაში ვიღას ახსოვდა ძია ლადო, რომელიც „ზალაში" მიეტოვებინათ. ორიოდე შაოსანი ქალი და მეუღლე, დეიდა მაროღა შერჩენოდა. იჯდა საცოდავი ქალი და ლადოს ცხარე ცრემლით დასტიროდა შვილიშვილის გაჭირვების ამბავს.

— ცაცო გვყავს ცუდადა, ბიჭო!.. ნეტაი წამოგახედა, რა დღეში ვართ. ლადო! შენ შემოგევლე! ბარემ წაგეყვანე, რომ ამ დღეს არ მოვსწრებოდი! ვაი, ჩვენს დღესა!

მე და გურამი მიცვალებულის ფერხთით დავეყუდეთ. დამდუღრებულები ვიდექით. რა უნდა გვექნა! დავყურებდით ერთადერთ მშვიდად მყოფ კაცს, რომელიც იმ ქვეყნის გრძელ გზას გასდგომოდა და შინ აწრიალებული ხალხისა არა ეყურებოდა-რა.

თბილისიდან ხანუგეშო ვერაფერი შეიტყვეს. მდუღარებდა ოჯახი. ნამდვილი ცოდვის ჩარხი ტრიალებდა.

ლადოს გამოსვენების ჟამმაც მოატანა. რას ვიზამდით — წესი უნდა შეგვესრულებინა. მესაფლავე უკვე ელოდა და მალე მკვდრის მზეც დაეყუდებოდა მთის თხემზე.

ბიჭებმა ყვავილების კალათები და თაიგულები გაიტანეს.

— შენ შემოგევლე, ეგებ ეს სურათი წამოიღო! — მომმართა ვიღაც შაოსანმა ქალმა. ალბათ მეზობელმა.

მოვკიდე ხელი და გავიტანე ძია ლადოს სურათი.

მალე სასაფლაოს გზას გავუყევით...

— ესღა უნდოდათ ამ უბედურებსა?

— ნეტავი რა დღეშია ის გოგო?!

— ძალიან მძიმედ არიო, ჰა?

— ვაი, შენ ჩემო თავო!...

მესმოდა ხალხში. ლადოს მიაცილებდნენ და ცაცოზე დარდობდნენ. მთელი ფიქრი და ვარამი შინაურისა, მეზობლისა და სტუმრისა ახლა იმ გოგოს დასტრიალებდა, სამშობიაროში რომ იტანჯებოდა და ვინ იცის...

თვალწინ დამიდგა ის მანქანა, მამამისს რომ გიჟივით მიჰყავდა, ან კი როგორ მიჰყავდა!...

გურამს ჩემზე მახვილი თვალი ჰქონია. როგორ შეასწრო! მარტო შიო კი არა, დოდოც რომ დაინახა!

ახლა ერთმანეთს ვერაფერს ვეუბნებოდით, დაძმარებულები მივდიოდით აღმართ-აღმართ, რადგან ძველი ეკლესია და სასაფლაო სოფელს მომაღლო ადგილზე აქვს; აქედან ვრცლად მოჩანს სოფელიც, მისი ბაღ-ვენახები, ხოდაბუნები, ჭალა, მდინარე, გზა და დიდ-პატარა გორაკები... მერედა, რა სანახავია მიდამო მზის გულზე! სიცოცხლე დუღს და გადმოდის, ისეთი ძალით ამოჩუხჩუხებს, თითქოს აი, ეს არის ამ მიცვალებულებსაც წამოჰყრის ზევითო...

ზევით კი არა, ერთი კაციც მივაბარეთ და კარგა სქლადაც წავაყარეთ მიწა.

არ ვიცი, იმ ქალს ლატარიაში ვერგე თუ რა იყო, ან კი საიდან გამომარჩია და თვალში ასე რად ამომიღო. შენ გახარებას, სურათი წამოიღეო. გზაში მალიმალ დავხედავდი ძია ლადოს, ვიხსენებდი მასთან შეხვედრის დღეებს. პურმარილიანი, სტუმართმოყვარე და მრავალჭირნახული კაცი იყო, ჩვენი ცხოვრების ყველა საფეხურზე შემდგარი: რევოლუცია, სამოქალაქო ომი, კოლექტივიზაცია, სამამულო ომი, ომისშემდგომი ჭიდილი-აღორძინება, სოფლის თავკაცობა... ჭრილობები, ორდენები, ჩვეულებრივი თუ საზღაპრო თავგადასავლები... ტკბილმოუბარი, ცოლ-შვილის მოყვარული, შვილიშვილებზე გადამკვდარი... ზოგჯერ გულნატკენი, ზოგჯერ ბედნიერი...

ის ზემოთ დავტოვეთ, გორაკის ფერდობზე, ჩვენ ქვემოთ დავეშვით, სოფელში...

ლადოს სახლს რომ მივატანეთ, გზაზე მხიარული ყიჟინით გოგოები გამოცვივდნენ.

— ბიჭია, ბიჭი!

დეიდა მარო ელდანაკრავივით შედგა, ქალი, რომელმაც ეს-ეს არის ქმარი მიწას მიაბარა და ახლა შინ ფეხებს ძლივს მიაფრატუნებდა, მხიარული ყიჟინის გაგონებაზე მოცოცხლდა, წელში გაიმართა, სახეზე ფერი მოუვიდა, მაგრამ ელდასავით ნაძგერებმა სიხარულმა მაინც მოსტეხა და ცრემლი აღვრევინა.

— ბაბო მარო, ცაცოს ბიჭი ყავს, ბიჭი! — შემოეხვივნენ მახარობელი გოგოები, საქელეხო სუფრას რომ დასტრიალებდნენ.

უნდა გენახათ, რა ამბავი იყო შინ! საოცარი რამ მოხდა — ვიღას ახსოვდა ძია ლადო! ცაცოს გადარჩენის ამბავმა გადარია ხალხი.

— წუთისოფელი ასეა, — მითხრა გურამმა, როცა ეზოში შევედით და სიხარულის ნაპერწკალი ჩვენს გამშრალ გულსაც წაეკიდა.

ოთახში შევედი, ძია ლადოს სურათი ლურსმანზე ჩამოვკიდე. ერთხელ კიდევ შევხედე. გარეთ საქელეხოდ მოსული ხალხი ისე მხიარულობდა, თითქოს ძეობაზე მოსულანო.

ანაზდად შევტრიალდი. დეიდა მარო ლადოს სურათისაკენ მოდიოდა. გზადაგზა შავი თავშალი შეისწორა, მიუახლოვდა, ორივე ხელი ლოყებზე შემოიწყო.

ფეხაკრეფით გავშორდი, კარისკენ გავემართე. დეიდა მარო სურათს გრძნობით ეჩურჩულებოდა:

— გვაპატიე, ლადო, შენი ჭირიმე!.. ცაცოს ბიჭი ეყოლა და... კარგად არიო, კარგადა... ბიჭს შენს სახელს არქმევენ, გაიგე?

...წუთისოფელს სათვალავში კაცი არ დაჰკლებია!

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამარ ლაზარაშვილი მესაზღვრეთა ოჯახის წევრებთან

# საზღვართან ახლოს

იმ დღეს მე და ფოტოკორესპონდენტი დავით იაკობაშვილი საკმაო ხანი ველოდეთ ახალქალაქის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს თამარ ლაზარაშვილს. მომსვლელი და მთხოვნელი არა და არ ელეოდა და მე ვხედავდი, როგორ შემოდიოდნენ ქალბატონ თამართან.

— შეიძლება თამარჯან? — ეტყოდნენ უფროსი ასაკისანი და ისე უბრალოდ მიუსხდებოდნენ მაგიდას, როგორც ალბათ საკუთარ სახლში. უმცროსები სახელით არ მიმართავდნენ, მაგრამ არც იმათ ემჩნეოდათ მორცხვობა. ისმოდა ქართულ-სომხურ-რუსული საუბარი (ეს ხომ ახალქალაქია), თამარ ლაზარაშვილს თითქმის ყველა შენობით მიმართავდა და ამით სულაც არ ირღვეოდა ეთიკის ნორმები. იყო ძალიან შინაურული ატმოსფერო და ეს ყველას თანაბრად სიამოვნებდა — თხოვნაც ადვილად ითქმებოდა და თანხმობა-უარიც. მივხვდი, ეს თამარ ლაზარაშვილის მუშაობის სტილი იყო და ყველაფერი ბუნებრივად იმიტომ გამოსდიოდა, რომ თვითონ იყო ასეთი უშუალო და უბრალო. ჩვენც ხომ სულ მალე მოგვიშინაურა.

კაბინეტში უფრო ხშირად ქალები შემოდიოდნენ. თამარ ლაზარაშვილი ხომ ქალთა საბჭოს თავმჯდომარეცაა. იმ დღეს ქალთა საბჭოს წევრები ყავდა დაბარებული, მესაზღვრეთა ოჯახების მოსანახულებლად მიდიოდნენ. ჩვენც მათ გავყევით.

მერე, გზაში, იმ საინტერესო ადგილისკენ — ჩვენი ქვეყნისა და თურქეთის საზღვრებისკენ მანქანით როცა მივქროდით, ქალბატონმა თამარმა წარსული გაიხსენა:

— ყოჩაღი გოგო ვიყავი! — თქვა და გაეღიმა, — ყველა საქმეში ვერეოდი, სულ ჩემი გასაკეთებელი მეგონა ყველაფერი.

მართლა ყოჩაღი გოგო იყო — ფრიადებით დაამთავრა ახალქალაქის საშუალო სკოლა და მერე სკოლაშივე დარჩა პიონერხელმძღვანელად, თან მეზობელი სოფლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხურ სკოლაში ქართულს ასწავლიდა, რაიონულ გაზეთშიც თანამშრომლობდა. ომის პერიოდში კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნად გადაიყვანეს.

ომი რომ დაიწყო, ის დღე როგორ დაავიწყდება. ისეთი მზიანი დილა გათენდა, კაცს ცეკვა მოგინდებოდა. თამარმაც ლამის ცეკვა-ცეკვით ჩაირბინა ახლადმორწყული ქვაფენილიანი ქუჩები (მაშინ ახალქალაქი სუფთა, კოპწია ქალაქი ყოფილა, სულ ქვაფენილით მოგებული. მერე ქვაფენილი აუყრიათ და... ამიტომაა ახლა, ნათელი რომ გადასდის ქალაქს (!), ჩაირბინა და რას ხედავს, სკოლასთან ხალხი შეყრილა, იქ არიან საგასტროლოდ ჩამოსული ლენინაკანელი მსახიობებიც. ხალხი კია ბლომად, მაგრამ სიჩუმეა და ამ სიჩუმემ შეაშინა. რადიო კი ლაპარაკობდა, რომ ომი დაიწყო. და კარგად ახსოვს თამარს, ერთი მსახიობი ქალი, სახეზე ხელებაფარებული როგორ გარბოდა ფოსტისაკენ და თვითონაც როგორ მიყვებოდა უკან უნებური ფაციფუცით — ომი დაიწყო და რაღაც ხომ უნდა გაეკეთებინა...

გასაკეთებელი კი მერე იმდენი გამოჩნდა, თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებაც არ იყო. მამა ფრონტზე წავიდა მოხალისედ. პატარა და-ძმებსა და ავადმყოფ დედას ვინ მიხედავდა, თუ არა თამარი. 1942 წელს მამა სევასტოპოლის დაცვას შეეწირა... გოგოს მამის გამოგზავნილი წერილები ამხნევებდა და თავდაუზოგავად მუშაობდა შინ თუ გარეთ.

ომი რომ დამთავრდა, იმის მეორე წელს კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად გადაიყვანეს. რვა წელი ედგა რაიონის ახალგაზრდობას სათავეში და საქმეს ჩინებულად უძღვებოდა. 1948 წელს კომკავშირის XI ყრილობის დელეგატად აირჩიეს. მერე პარტიის ახალქალაქის რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა მთელი ოცი წელი. დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლა. აგერ უკვე თოთხმეტი წელია, რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეა და კიდევ ქალთა საბჭოს თავმჯდომარე.

შარშან ქალთა საბჭოს ინიციატივით ორი ხუთსართულიანი სახლი მოამზადეს სტიქიისაგან დაზარალებული სვანთა ოჯახებისათვის. ყველაფრით გააწყეს, მარტო ჩამოსვლა და ცხოვრება უნდოდა. ქალბატონი თამარი იხსენებს: მთელი რაიონი ფეხზე დადგა. მოდიოდნენ ჩვენი სომხები და მეუბნებოდნენ: ჩვენ რომ გვიჭირდა, ქართველებმა ხომ შეგვიფარეთ, ახლა ქართველებს უჭირთ და რაც საჭიროა, ყველაფერს გავაკეთებთო. ყველანი მოუთმენლად ველოდით სვანების ჩამოსვლას, მაგრამ ისე მოხდა, არ ჩამოვიდნენ, სიმართლე გითხრათ, ძალიან დაგვწყდა გული.

მაშინ იმ ავბედითმა სტიქიამ ხომ ყველა ქართველი აალელვა და ააცრემლა. აბა თამარს გული როგორ მოუთმენდა, რომ არ ჩაეკითხა მარნეულში შვილის თანაკურსელი სვანი გოგონასათვის, იქნებ რაიმეთი დახმარებოდა. მისი იქ ყოფნა ტელევიზიით შეიტყო...

საუბარში შეუმჩნევლად გაიარა დრომ. მესაზღვრეებს ძალიან გაუხარდათ ჩვენი დანახვა, თუმცა ამაში ბრალი ჩვენს მასპინძელს მიუძღოდა — მათ ხომ მეგობარი ესტუმრათ. სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ თამარ ლაზარაშვილი სახალხო რაზმელთა შტაბის უფროსიცაა. შტაბი მთელი მონდომებით ეხმარება მესაზღვრეებს. ამას წინათ სახალხო რაზმელებმა საღზვრის დამრღვევი ჯაშუში დააკავეს.

ქალბატონმა თამარმა ქალთა საბჭოს წევრებთან ერთად ოფიცერთა ოჯახებიც მოინახულა. შემოეხვივნენ ქალები ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს, აჭიკჭიკდნენ: — ეს გვაკლია, ის არა გვაქვს, მაღაზიას ცუდად ამარაგებენ, წყალი ხშირად წყდება... რაც შეგვეძლება ყველაფერს გავაკეთებთო, — დახმარება აღუთქვა ლაზარაშვილმა. მერე ბავშვებს თან წამოღებული საჩუქრები და ტკბილეული დაურიგა. იყო ერთი სიცილ-კისკისი მესაზღვრეებთან.

საზღვართან უფრო ახლოს მივედით. აქ ხომ გალაკტიონი იყო... ჩვენს წინ გადაშლილიყო კარწახის ტბა და მწვანედ ლაპლაპებდა. მესაზღვრე ტბა... მესაზღვრე ყვავილი... ეს გალაკტიონს უთქვამს, როცა სასაზღვრო ხნულში მინდვრის ყვავილი შეუნიშნავს. მაშინ გალაკტიონს თამარი და მისი მეუღლე მეგზურობდნენ.

— როგორ გავიხარეთ გალაკტიონის ჩამოსვლით. რა მოხდება, ხშირად რომ ჩამოვიდნენ ჩვენი მწერლები... აქაც იმართებოდეს გამოფენები. ხანდახან მაინც უჩვენებდნენ დედაქალაქში დადგმულ სპექტაკლებს. ამით რამდენ რამეს შემატებდნენ ჩვენს ახალგაზრდობას...

ქალბატონ თამარს სამი ვაჟი ჰყავს და სამივე რაიონში დარჩა საცხოვრებლად. — ხანდახან პატარა ვაჟი ამიწუწუნდება, რა იქნებოდა, მე მაინც დავრჩენილიყავი თბილისშიო. დავუცაცხანებ და გავაჩუმებო, — ყვება, — რა გამოვა, ყველა დედაქალაქში რომ გაიქცეს, აქ ვიღა დარჩება. ის უმცროსი ექიმია და სწორედაც რომ ექიმი სჭირდება რაიონს.

როგორ ფიქრობთ, თამარ ლაზარაშვილი როგორი ქალია?

— სხვებივით ხომ არ ასწავლის სხვის შვილებს ჭკუას, დარჩითო პერიფერიებში, თავიანთი კი თბილისში ყავთ გაგზავნილი.

ახლა როგორ მუშაობს? — მაგისი ჯილდოებისა და სიგელების ტევა აღარ არისო სახლში, — ხუმრობს თურმე მისი მეუღლე, ბატონი კოლია.

ხალხს რომ ვკითხოთ? — მე იქაური ვარ და ვიცი, თამარ ლაზარაშვილს მართლაც დიდ პატივს სცემს ხალხი. ასე გეტყვიან: — თამარი? — თამარი საქმისთვის თავმკვდარე ქალია, ვაჟკაცური ქალია. ნეტა ეგ თუ ილლება როდისმე...

**მანანა ზარიძე**

# ჩვენი თანამედროვე

**ქალმა სარკეში ჩაიხედა. დაღლილ ორეულს მიაშტერდა ერთხანს. ფერმკრთალი ეჩვენა. ჩამოშლილ თმაზე გადაისვა ხელი, გვერდზე მოქცეული ყელსაბამი გაისწორა და იხევ დააცქერდა თავის თავს. წლების მატებასთან ერთად თანდათან შეიცვალა იგი. მხიარული, სილამაზით ნებიერი გოგო, კარგა ხანია ფიქრიანმა, დინჯმა ქალბატონმა შეცვალა და ახლა იგი ძველებური ეშმაკური ღიმილით აღარ ხვდება ქალს სარკეში. გარინდებული უყურებენ ერთმანეთს. უსიტყვოდ საუბრობენ, უსიტყვოდვე ესმით... ქალები ხომ ბოლომდე გულახდილები თავიანთ ორეულებთან არიან...**

**პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ხატვისა და ხაზვის სიყვარულმა მიიყვანა. და იმდენად დიდი აღმოჩნდა ეს სიყვარული, რომ არც უნანია თავისი არჩევანი, როცა ეს შრომატევადი პროფესია მთელი თავისი სიმძიმით და სირთულით შეიცნო, როცა ნახაზებზე დასთენებია და თავგზა აბნევია ხაზვისას, ზოგჯერ უგრძვნია, რომ ფიზიკურად მაინც სუსტი იყო ამ საქმისათვის. მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, არავის უმხელდა.**

**სხვების თვალში ის მუდამ რჩებოდა დამწყებ ნიჭიერ შემოქმედად, თავისი საქმის საუკეთესო მცოდნედ. ყველას უყვარდა და სჯეროდა მისი. „თბილქალაქპროექტში“ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მოვიდა და პირველი ხელმძღვანელი თინა შუბლაძე შრომისმოყვარეობისა და პასუხისმგებლობის ცოცხალ მაგალითად ექცა. გვიანობამდე დაუღალავად მუშაობდა მასთან, მისგან იგებდა იმ გამოუთქმელ და წიგნებში დაუწერელ მადლსა თუ ხიბლს თავისი საყვარელი საქმისა, რომლის განცდაცა და აღქმაც მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც სულში დაგუბებული მშვენიერების გადმოღვრა ქვაში განუზრახავს და ამისთვის გადაუდვია თავი.**

**შემოქმედ ადამიანებს სჩვევიათ ეს — საკუთარი ხელით შექმნილს დაჰფოფინებენ, არაფერს იშურებენ, სანამ სრულ სახეს არ მისცემენ. დაიღლებიან, დაიხარჯებიან, რაღაც შინაგან კმაყოფილებასაც იგრძნობენ, მაგრამ ბოლოს მაინც ხვდებიან, რომ ეს ჯერ კიდევ არ არის ის, რაც ეგო-**

# ბედნიერი პროფესია



მიხეილ მათველაშვილის ფოტო.

ნათ და მერე იგივე თავდადებით, იგივე მონდომებით ისევ ახლიდან იწყება ყველაფერი.. ასე იყო მისთვისაც: პიონერთა სახლი ორთაჭალაში, საბავშვო ოთახები მთაწმინდაზე, მრავალპროფილიანი საავადმყოფო დიღომში, ფაბრიკა „ისნის“ საბავშვო ბაღი (რომელმაც დიდი აღიარება მოუტანა არქიტექტორს, იგი მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო პრემიის „ხუთწლედის მატიანის“ ლაურეატი გახდა) და კიდევ სხვა მრავალი. მაგრამ მისი ოცნების სახლი არ აგებულა ჯერაც. და კვლავ აწვალებს, არ ასვენებს რწმენა იმისა, რომ უთუოდ უნდა ააშენოს.

მაგიდაზე ლომბარდის შენობის მაკეტი უდევს. მისი მშენებლობა ვარკეთილშია განზრახული: ინდივიდუალური პროექტია, საინტერესო. მასზე სახელოსნოს ხელმძღვანელ ვახტანგ აბრამიშვილთან ერთად მუშაობს. კედელზე საცხოვრებელი სახლის ესკიზებია გაკრული, პროექტში ინდივიდუალური და ტიპიური შერწყმია ერთმანეთს. ეს ადგილმდებარეობის თავისებურებამ განაპირობა. იგი საბურთალოს ქუჩაზე აშენდება. საცხოვრებელ სახლზე მუშაობა ყველაზე საინტერესოა მისთვის, რადგან არქიტექტურა, როგორც შემოქმედება და როგორც ტექნიკური პროფესია აქ უფრო კარგად ვლინდება. თანაც ბინათმშენებლობა ხომ ერთ-ერთი აქტუალური და პრობლემური საკითხია მათ საქმიანობაში. დღევანდელ ბინებში ჯერ კიდევ ძალზე მცირეა სიამისა და სილამაზის მომგვრელი...

ამის თაობაზე მუდამ ტკივილით საუბრობენ არქიტექტორები. რა თქმა უნდა, მიზეზს მხოლოდ თავიანთ მუშაობაში არ ხედავენ, მაგრამ ცუდად გადაწერილი კარგი წიგნის ავტორსაც ხომ სტკივა გული, როცა მისი ხელთქმნილის აუგს იტყვიან. საქმეში ჩაუხედავი თვალისათვის კი სულ უმნიშვნელო ნაკლიც არქიტექტორის სისუსტეა, თუმცა მისი ესკიზებიდან არც თუ ულამაზოდ და უშინაარსოდ იცქირებიან შენობები. მაგრამ კოვზით დალეული ზღვისა არ იყოს, თითოეული დამპროექტებლისა თუ მშენებლისაგან ცოტ-ცოტა მოკლებული სითბო და ყურადღება ბოლოს დიდ ნაკლად იქცევა და ჩვენს ყოველდღიურ ლექსიკონში ერთობ მოძალებულ სიტყვას — უხარისხოს ვარქმევთ. აქ კი პრობლემათა კვანძია... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რამდენი საინტერესო, ათასგვარ კონკურსში გამარჯვებული, მართლაც გამორჩეული იდეა პლანშეტებზე დარჩენილა. არადა, ხუროთმოძღვრება ხომ თავისთავად ნიშნავს იმას, რომ კარგისა და ღირსეულის შექმნა შინაგანი მოთხოვნილებაა, თუ სხვა არაფერი... წუნს ერთნაირად განიცდიან არქიტექტორები — კაციც და ქალიც, დამწყებიც და მრავალნაცადიც, რადგან მათი საქმე უპირველესად ხელოვნებაა, შემოქმედებაა და რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს, მაინც ბედნიერებაა მისთვის სამსახური.

ფანჯრის რაფაზე კაქტუსები ჩარიგებულა. მაგიდაზე კი სანიშნეჩადებული „ვეფხისტყაოსანი“ დევს. ორივე მისი გატაცებაა, როცა იღლება, თავისთვის, ზოგჯერ თანამშრომლებისთვისაც ხმამაღლა კითხულობს ტაეპებს პოემიდან და უხარია, როცა ისინი გასუსულები უსმენენ... მერე მეც მიკითხავს რამდენიმე სტრიქონს და ღიმილით მიმხელს — ამ ბოლო დროს ისე უცნაურად და ძლიერ მომენატრა „ვეფხისტყაოსანი“, რომ ვერც კი ამიხსნია. ალბათ, თითოეული ჩვენგანის სულში რაღაც ქვეშეუცნობლად მუდამ ღვივის ეს სიყვარული და დროდადრო თავისთავად იფეთქებს ხოლმე, თავს შეგვახსენებს... მართლაც, ისე უცნაურად მომენატრა...

ოთახში თითქოს საგანგებოდ შეგროვილა ამდენი ნახაზები. ფორმატები ყრია ყველგან — მაგიდაზე, თაროებზე, იატაკზეც კი. პლანშეტები, ესკიზები მოხდებია კედლებს... ფანჯრებს იქით კი თანდათან იბინდება ქუჩა. „თბილისქალაქპროექტის“ მეორე სახელოსნოს მთავარი არქიტექტორი ნარგიზა ბუჯიაშვილის სამუშაო დღე აქ არ მთავრდება, სახლშიც გვიანობამდე არ „სძინავთ“ ნახაზებს...

**რიტა ბაინდურაშვილი,**
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის
მესამე კურსის სტუდენტი.

# მისი საზრუნავი



რაიონის ქალთა საბჭოების მუშაობის გასაცნობად გლდანის რაისაბჭოს აღმასკომის მდივანს, ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს გიული ჯალაღანიას ვეწვიეთ.

საკუთარ თავზე ლაპარაკი გაუჭირდა, ორიოდე სიტყვით გაგვაცნო ოჯახი, სტუდენტობის წლები...

დავიბადე თბილისში. მამაჩემი — ნიკოლოზ ჯალაღანია რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი გახლდათ, თავისი ცხოვრება ქალაქის გამწვანებასა და გალამაზებას მოახმარა. მეც ძალიან მიყვარს თბილისი და თავიდანვე ვცდილობდი მცირე წვლილი შემეტანა მის ცხოვრებაში. დავამთავრე უნივერსიტეტი. აქტიურად ვმონაწილეობდი კომკავშირულ ცხოვრებაში. ვიყავი ფრენბურთელი, ბევრჯერ დამიცავს ჩვენი სპორტული ღირსება რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებებში.

და ვიდრე გლდანის რაიონი ჩამოყალიბდებოდა, გიული ჯალაღანია ქალაქის საბჭოში კონტროლის ჯგუფის უფროსად მუშაობდა, ამიტომ მოსახლეობასთან ხშირი კონტაქტი ჰქონდა. 1979 წელს, შეიქმნა თუ არა გლდანის რაიონი, გიული აღმასკომის მდივნად აირჩიეს. ახალბედა მდივნისათვის ბევრი რამ იყო დამაფიქრებელი.

გამოცდილი მუშაკები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამშრომელი ნინო ბურდული და ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილი მდივანი ეთერ ლელაშვილი მხარში ამოუდგნენ, არიგებდნენ: გულდასმით მოესმინა მთხოვნელებისათვის, გამოენახა დახმარების გზები, ტყუილუბრალო დაპირებები არ დაეწყო.

— რაისაბჭოს აღმასკომის მდივნის სამუშაო მეტად მრავალფეროვანია: დეპუტატების მოვალეობისადმი თვალყურის დევნება, სხვადასხვა კომისიების მუშაობაში გარკვევა, აქედან გამომდინარე საკითხების მომზადება, რეკომენდაციები, მშრომელთა განცხადებების ანალიზი და მათთან ურთიერთობა, ხალხთა ბედნიერებისათვის ზრუნვა და უბედურებაში დახმარება, სპორტის კურატორობა, მიკროსაბჭოების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა, არჩევნების ჩატარება, აღმასკომის სხდომების მოწვევა, მოსახლეობასთან შეხვედრები, მრავალშვილიან დედებთან კავშირი და სხვა.

აი, რას ამბობს გლდანის რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგე ბორის პაიჭაძე: — გიული კურირებას უწევს ჩვენს განყოფილებას. მასთან შეთანხმებით წყდება საკითხები, ეს იქნება მარტოხელა პენსიონერებთან კავშირი თუ სხვა რამ. შარშან მე და გიულიმ თვითოეულს 85 მანეთი დახმარება მივეცით.

აღმასკომის იურისტი ირა კუკულაძე, საერთო განყოფილების გამგე დოდო გადაბაძე, ინსტრუქტორი ნანა კვარაცხელია ყვებიან, თუ როგორ ეხმარება გიული ჯალაღანია მოქალაქეებს.

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ყოფილმა პირველმა მოადგილემ (ამჟამად სახალხო კონტროლის თავმჯდომარემ) — ალიკო გობრონიძემ, ქალბატონ გიულის დახასიათებისას აღნიშნა: — მისი ოთახის კარი მუდამ ღიაა. მას მიღების საათები არა აქვს. თუ კი ადგილზეა, თავისუფლად შეიძლება შესვლა და საუბარი...

და ამიტომ მასთან თავისუფლად შედიან და უყვებიან თავიანთ გაჭირვებაზე, თხოვენ შველას და გიული ყოველგვარ დახმარებას უწევს.

აი ფაქტები: ვ. ზ-მ ოჯახიააწრიალა, სმისაგან ფსიქიურად დაავადდა, მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო. ან რა შედეგი უნდა გამოეღო, როცა სამკურნალო დაწესებულებიდან იპარებოდა და ცოლ-შვილს აწიოკებდა, ცოლი სახლიდან გააგდო, ვერავინ უშველა გიული ჯალაღანიას მეტმა, რაისაბჭოს აღმასკომში შეისწავლეს მდგომარეობა და გადაწყვიტეს მწვავე საბინაო კონფლიქტის ლიკვიდაციისა და მომავალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, როგორც გამონაკლისი, უმწეო ქალი ნ. თათარაშვილი კოოპერატიული ბინის მშენებლობაში შეეყვანათ.

იური კ-ი ცოლის ოჯახს ჩაესიძა. სიდედრს არ მოეწონა, რომ სიძე მათთან მივიდა საცხოვრებლად. აუმხედრდა, უნდოდა შვილს ოჯახი დაენ-

გრია, მაგრამ ქალიშვილს ქმარ-შვილი უყვარდა, დედას არ დაუჯერა. რაისაბჭოს აღმასკომი მათ ოჯახურ დავაში ჩაერია, გიულიმ საერთო საცხოვრებელში ჩააწერინა სიძე და სიდედრს ცოლშვილიანად დააცილა.

მძიმე ბიოგრაფია აქვს ნ. — ძ-ს. გოგონა 10 თვის ასაკში ოჯახიდან მოიშორეს და ქუთაისის ბავშვთა სახლში გაიზარდა. სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ, მან პედაგოგების დახმარებით მშობლები მოძებნა. თბილისში ჩამოვიდა. მათ მიიღეს, მაგრამ ოჯახში გოგონა უცხო აღმოჩნდა. არ შეიძლება იმ საცოდაობის აღწერა, რაც იქ ხდებოდა. ამის შემდეგ, მათ ხუთოთახიანი ბინა მიიღეს გლდანის მასივში, ორდერში ქალიშვილიც შედიოდა და კინაღამ ტრაგედია დატრიალდა. გოგონა კარგახანს სამსახურში იძინებდა, მაშინ რაისაბჭოს აღმასკომი ჩაერია საქმეში. ხუთოთახიანი ბინა უკან დააბრუნეს. ოთხოთახიანი ოჯახს გამოუყვეს, გოგონას კი ერთოთახიანი მისცეს.

ქალთა საბჭოების მუშაობა გიულის სამსახურებრივ საქმისგან განუყოფელია. რაიონში განლაგებული ქალთა საბჭოები მისი ხელმძღვანელობით კარგად მუშაობენ, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩევა საფეიქრო მრეწველობის კვლევითი ინსტიტუტის ქალთა საბჭო, რომელსაც ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ჯული ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობს.

გიულის მხარში უდგანან სოციალისტური შრომის გმირი ეთერ სოლომონია, თბილისის კამვოლური დართვის კომბინატის განთავისუფლებული პარტიული კომიტეტის მდივანი ნუნუ კახუბერაშვილი, გლდანის ტრიკოტაჟის გაერთიანების პროფკომიტეტის თავმჯდომარე ლამარა დეკანოსიძე, 31-ე პოლიკლინიკის ექიმი — ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ნაზინა ფერაძე და სხვები.

ორშაბათი მშრომელთა მიღების დღეა. გიული ჯალაღანიას ოთახის კარი ღიაა. მან იცის, მარტო ტკბილი ენა გაჭირვებულს ვერ უშველის, მთავარია საქმიანი დახმარება.

**დოდო დონაძე**

# ყველგანაა ქართული ჩაის პროდუქცია!



დავით იაკობაშვილის ფოტოები.



გამომგონებელთა ჯგუფის წევრები: ნ. ძერია, ქ. სანაია და ჯ. აბულაძე მუშაობენ ახალი აგრეგატის სრულყოფისათვის სოფელ ლესიჭინის ჩაის ფაბრიკაში.

სოფელ ხაბუმეს ჩაის საწონი ფაბრიკის მუშები — ფერიდე თოლორდავა და მედეა ჯალაღონია.



# საქართველო არბატზე



— გინდა გაჩვენო საქართველო? გამომყევი. ერთ საათში მოგატარებ. ხაჭაპურსა და ტკბილ წყალსაც ვიგემებთ.

— სად? ზღაპარს ნუ ჰყვები...

— ზღაპარს ახლა ნახავ, აბა, ამ სახლში შევიდეთ!

ასეთი დიალოგი გაიბა ორ ხანშიშესულ მანდილოსანს შორის და მეც უნებურად მოვისმინე. ეტყობოდათ, ორივენი მოსკოველები იყვნენ, ხოლო ერთერთმა არაფერი იცოდა აქაურ ახალ „ბინადარზე“.

შარშან, დეკემბერში საქართველოს აგრომრეწვის სავაჭრო-კულტურულმა ცენტრმა მოსკოვის ყველაზე ლამაზი და წყნარი ქუჩა, ძველი არბატი აირჩია და ერთ-ერთ სახლში შესვლა ინება. სახლი სადაა, ორსართულიანი, კარებთან წარწერაა „მზიური“.

ამბობენ, და თუ ჩვენც ამ ნათქვამს დავუჯერებთ, სახლი ისტორიულია. აქ ცხოვრობდა და მიღებებს მართავდა მხედართმთავარ სუვოროვის შვილიშვილი — მიხეილ ლერმონტოვის მასპინძელი და მისი ლექსების მოტრფიალე ქალი.

ლერმონტოვის სახელი წელს, იანვარში, ამ სახლში მოწყობილ სურათების საგამოფენო დარბაზში გამობრწყინდა, როცა მისი ოთხი ფერწერული ტილო გამოფინეს. ისინი ასახავენ სამხედრო გზას, მცხეთის მიდამოებს, საქართველოს პეიზაჟს... ჩანს, ლერმონტოვი ძლიერ მოხიბლულა საქართველოთი, და ეს იმ დარბაზში წარმოგვიჩინეს, სადაც ალბათ ერთ დროს, ვალსის საოცარ ჰანგებს პოეტი მსუბუქი ნაბიჯებით მიჰყვებოდა.

საქართველოს კულტურული ცენტრი რამდენიმე თვეა ანდამატივით ზიდავს ძველ არბატზე მოსეირნეებს. თუმცა მარტო მოსეირნეებს არა. აქ სპეციალურად მოდიან (და ზოგნი მერამდენედაც) მოსკოველები, სტუმრები, ტურისტები.

შეხვალთ თუ არა დარბაზში, საზეიმო განწყობილება დაგეუფლებათ. აქაურობა გაფორმებულია მდიდრულად, გემოვნებით, მაღალმხატვრულად. ყველაფერს ლენინური პრემიის ლაურეატის, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის ზურაბ წერეთლის ხელი ატყვია. საით გაიქცეს თვალი, რომელ ერთზე შეჩერდეს და დატკბეს! ვესტიბულის ცენტრში დგას „სიცოცხლის ხე“ — პოეტური, სიმბოლური ქმნილება ხელოვანისა. დიდი, ლამაზი შადრევნის წინ, კედელზე ზურაბ წერეთლის ვეება მოზაიკურ პანოზე ასახულია „თბილისობა“.

აქ ყველაფერი ქართულია, დაწყებული პირველი სართულიდან, სადაც იყიდება შოთა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის და სხვა ქართველ კლასიკოსთა წიგნები.

განსაკუთრებით ბევრი ხალხი იყრის თავს სავაჭრო სექციებთან, სადაც გამოფენილია ფირმა „სოლანის“ ნაწარმი — კერამიკა, ჭედურობა, ხალიჩები, პაჭიჭები, საოჯახო დანიშნულების ნივთები. სპეციალურად, უკვე მერამდენედ მოდიან მოსკოველი ქალები ქართული მოსართავების — საყურეების, სამაჯურების, ბეჭდების, ყელსაბამების შესაძენად. პირველსავე სართულზე „მზიურის“ სტუმრები გემოს უსინჯავენ ლაღიძის წყლებს. თხუთმეტი სახეობის წყალია მათთვის დამზადებული: პიტნის, შოკოლადის, ალუბლის, შვინდის, ფეიხოას და სხვა და სხვა. განუმეორებელი, მსოფლიოში უნიკალური ლაღიძის წყლები თბილისის გარდა ახლა მოსკოვშიაც იყიდება.

მეორე სართულზე გრანდიოზული ხვეული კიბე ადის. აქ სურათების საგამოფენო დარბაზია. „საქართველო რუს მხატვართა თვალით“ — ასეთი თემატური გამოფენა გაიხსნა იანვრის თვეში. გამოფენის თემატიკა პერიოდულად შეიცვლება. პროპაგანდა გაეწევა ქართველ მხატვართა ნაწარმოებებს.

მდიდრულად და გემოვნებით არის მოწყობილი ოთხმოცდაათადგილიანი საკონცერტო დარბაზი, სადაც გაიმართება ქართველ ხელოვნების ოსტატთა კონცერტები.

დაბლა დაუყვებით საფეხურებს და ისევ „სიცოცხლის ხესთან“ აღმოჩნდებით, მაგრამ ჯერ ადრე იქნება საქართველოს სავაჭრო-კულტურული ცენტრის დატოვება, თუ არ იგემებთ იმერულ და აჭარულ ხაჭაპურებს ჩაისთან ან წყლებთან ერთად. საამისოდ პირველი სართულის ქვევით ლამაზად გაფორმებული კაფეა მოწყობილი.

შთაბეჭდილებათა წიგნში ბევრი ჩანაწერია. იფიქრებთ, ვინც მოსულა, ყველას თავისი სათქმელი დაუწერია. საბოლოოდ ყველას აზრი ერთიანდება: „მზიურმა დაგვატყვევა“, „მოვედით და დავტკბით ქართული სულით, თვითმყოფადი და მრავალმხრივი ქართული კულტურით“, „საქართველო ჩვენთან ჩამოვიდა, არბატის 42-ში“, „მადლობა აკადემიკოს — მხატვარს ზურაბ წერეთელს და არქიტექტორს შოთა ყავლაშვილს“, „ჩვენ აქ დავმეგობრდით საქართველოსთან, ქართველ ხალხთან“, „გაუმარჯოს მეგობრობას!“.

დგას „მზიური“ დიდ დედაქალაქში და იმ წინაპრებს შეგვახსენებს, თვეობით რომ მოდიოდნენ ეტლითა და ცხენებით რუსეთის მეფეებთან დასამეგობრებლად, იმათ ნაკვალებს მიგვანიშნებს, 200 წლის წინათ მეგობრობის ტრაქტატს ხელი რომ მოაწერეს.

დღეს ამ მეგობრობას „სიცოცხლის ხე“ ასაზრდოებს.

ლია ნინიძე

# მოდა







ეროვნული ბიბლიოთეკა

## 3 აპრილი გეოლოგის დღეა

1939 წლის შემოდგომა იდგა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი დ. წერეთელი) თვეზე მეტხანს იმუშავა დავით გარეჯის უდაბნოს ველზე და უხვი, საინტერესო მასალა მოიპოვა ხერხემლიანთა ფაუნის შესახებ.

ექსპედიციის მუშაობის ბოლო დღე ბედნიერი აღმოჩნდა სრულიად ახალგაზრდა გეოლოგის — ეკატერინე გაბაშვილისათვის...

იმ ადგილიდან, სადაც გეოლოგებს წინადღეს კარვები ჰქონდათ გაშლილი, სულ რაღაც 300-400 მეტრის დაშორებით, ეკ. გაბაშვილმა კვლავ მოთხარა მიწა, თითქოს



ვარლამ ბენზიურის ფოტო.

ეკატერინე გაბაშვილი

# ⴂⴄⴍⴊⴍⴂⴈ

გული უკიჟინებდა და უტყუარი ალღო უბიძგებდა — „კიდევ ერთხელ"... „კიდევ ერთხელ სცადე"... და მიწიდან, თიხაში ამოგანგლული ძვლის ნაშთი ამოიღო, გაასუფთავა განათხარი მასალა და... სწავლულები აღტაცებას ვერ მალავდნენ... მათ ხელთ ჰქონდათ მაღალორგანიზებული პრიმატის კბილები.

დაიწყო დაძაბული შრომა პროფ. ი. ბურჩაკ-აბრამოვიჩთან ერთად, შედეგმა კი მოლოდინს გადააჭარბა; დადგინდა, რომ აღმოჩენა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, რადგან საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ნამარხი უმაღლესი ადამიანისნაირი მაიმუნი აქამდე ცნობილი არ ყოფილა. აღმოჩენამ დიდად დააინტერესა პრიმატოლოგები, პალეონტოლოგები და ისტორიკოსები, ხოლო მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში იგი შევიდა აღმოჩენის ადგილისა და აღმომჩენთა სახელით.

და დღესაც საპატიო ადგილი უკავია მას.

უდაბნოპითეკის ერთ-ერთი ავტორი პროფესორი ბურჩაკ-აბრამოვიჩი მიუთითებს: დღემდე უდაბნოპითეკის მხოლოდ ორი კბილია აღმოჩენილი, მაგრამ მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს არსება არის ადამიანისნაირი მაღალორგანიზებული პრიმატი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ლ. გაბუნიას აზრით: „უდაბნოპითეკი, რომელიც ცხოვრობდა გვიან მიოცენში (დაახლოებით 9 მილიონი წლის წინათ), ახლო დგას სამხრეთ აზიაში ცნობილ რამაპითეკუსისთან. უახლოესი გამოკვლევების საფუძველზე კი, რამაპითეკუსი მიჩნეულია, როგორც გარდამავალი ფორმა უმაღლესი ადამიანისნაირ მაიმუნებზე. ზოგიერთი სწავლულის აზრით რამაპითეკუსი მიეკუთვნება ჰომონიდების (ადამიანთა) ოჯახს; საქართველოს ტერიტორიაზე მისი ნაშთის აღმოჩენას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, მან კარგახანია დაიკავა თავისი კუთვნილი ადგილი პრიმატების პალეონტოლოგიაში. რაც შეეხება უდაბნოპითეკის აღმომჩენს, ქ-ნ კატოს, იგი ბეჯითი, გულმოდგინე მკვლევარი და მრავალი უაღრესად საინტერესო ნაშრომის ავტორია. მოგეხსენებათ, ნამარხთა თხრა ძალზე რთული სამუშაოა და ამ მხრივ ეკატერინე გაბაშვილის ექსპედიციებმა დიდად გაამდიდრა ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის მასალები".

საოცრად მომხიბლავი და სასიამოვნო მოუბარი, თავისი სპეცია-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის ფანატიკურად მოტრფიალე ქ-ნი კატო, როგორც სიყვარულით მიმართავენ მას კოლეგები და მეგობრები, აღჭურვილია თავისი სახელოვანი ბებიის, მწერალ ეკატერინე გაბაშვილის ოჯახში შექმნილ საუკეთესო ქართული ტრადიციებითა და კულტურით. ერთი საყურადღებო ფაქტი გვინდა ვაცნობოთ მკითხველს: სახლი, რომელიც ჩვენს დიდებულ მწერალს ეკატერინე გაბაშვილს ეკუთვნის (სოფ. ახალქალაქი, კასპის რ-ნი) აშენებულია 1904 წელს ეკატერინეს და მისი მეუღლის მიერ. გაბაანთ უბანში (როგორც დღეს სოფელში უწოდებენ ამ უბანს). აღნიშნულ სახლში მწერალი წლის მეტ დროს ატარებდა, მისი ხშირი სტუმრები იყვნენ მწერლები, მეზობლები და თანასოფლელები. სახლს ბოლო დრომდე, 1984 წლამდე უვლიდა მწერლის ვაჟიშვილი გიორგი. ხოლო შვილიშვილს ქ-ნ ეკატერინეს კეთილი განზრახვა აქვს: უახლოეს წლებში სახელოვანი ბებიის სახლში მოეწყოს მემორიალი, სადაც წარმოდგენილი იქნება მწერლის საოჯახო ნივთები და ავეჯი.

ბებიისა და შვილიშვილის საოცარ სიყვარულზე მეტყველებს მწერლის პირად არქივში დაცული წერილები: „ჩემო ძვირფასო კატუნი“, „ჩემო კარგო კორესპონდენტო“, „შენ ხომ გიყვარს წერა ბაბოსთან, ბაასი, როგორ ხარ, რას აპირებ მომავლისათვის“... მომავალი კი, რაზეც ფიქრობდა მწერალი, სავსე იყო წარმატებებით, სიხარულით. ეკატერინე გაბაშვილმა სახელოვნად გაიარა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების გზა. დედას, ბებიას, მრავალი ამბის მომსწრეს, შრომის ვეტერანს, საქართველოს გეოლოგიური და საკავშირო ტერიოლოგიური (ნამარხთა) საზოგადოებების წევრს, საქართველოს სსრ დამსახურებულ გეოლოგს, მთავრობის ჯილდოებით მკერდდამშვენებულს, დღესაც თავდაუზოგავად რომ მუშაობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიის განყოფილებაში, კვლავ ველზე სამუშაოდ მიუწევს გული; ვინ იცის, რამდენ საიდუმლოებას ახდის კიდევ საუკუნოვან საფარს.

— იცით, რამდენი სიხარული მოაქვს აღმოჩენებს? — გვეუბნება ქ-ნი კატო და იქვე დასძენს, — ალბათ ეს მამხნევებს და მაცოცხლებს.

კიდევ ახალ აღმოჩენებს გისურვებთ, ქ-ნო კატო!

გ. გასიტაშვილი

## ეს საინტერესოა

# ლევ ტოლსტოის შთამომავალი — ლუიჯი ალბერტინი

დიდ მწერალს ლევ ტოლსტოის ცხრა შვილი ჰყავდა. უფროსი ქალიშვილი ტატიანა ლევის ასული შემოქმედებითი ნიჭით გამოირჩეოდა, წერდა მოთხრობებს, ხატავდა, თვით ილია რეპინისაგან იღებდა გაკვეთილებს. ტატიანა ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდა მამის სახლში, იასნაია პოლიანაში. შემდგომში მან დაწერა საინტერესო მოგონებები, გააშუქა სახელოვანი მამის ცხოვრების ზოგიერთი პრობლემური მხარე.

ტატიანა ლევის ასული წერდა იმ დიდ სიყვარულზე, რომელსაც ტოლსტოი მუდამ იჩენდა მიწის და მიწის მუშის მიმართ. იგი გლეხობის გაჭირვების სათავედ იმას თვლიდა, რომ მიწა ერთი მუჭა მფლობელების ხელთ იყო, ამიტომ გადაწყვიტა უარი ეთქვა მიწის კერძო მფლობელობაზე, რაც შემდგომში კიდეც განახორციელა.

მისი ვაჟებიდან მიწის სიყვარულით თითქმის არცერთი გამორჩეულა. ერთი მათგანი მემამულეც გახდა, მაგრამ დიდი მამის იდეალები სამოქმედო ამოცანად არ გაუხდია. მიწისა და სოფლის მეურნეობის სიყვარულმა საბოლოოდ მაინც იჩინა თავი მისი შთამომავლის გულში. სწორედ ამაზე გესაუბრებით ამ წერილში.

ტატიანა ლევის ასული, რომელიც გრაფ ნიკოლოზ სუხოტინს გაჰყვა ცოლად, 1925 წელს იტალიაში გადავიდა საცხოვრებლად. აქ მისი ქალიშვილი ტატიანა სუხოტინა ცოლად გაჰყვა პროგრესულ მოღვაწეს, ჟურნალისტს ლუიჯი ალბერტინის. ლუიჯი მილანში ცხოვრობდა და საკმაოდ მსხვილ გაზეთს „კორიენე და ლა სერას“ ფლობდა. მალე იგი ოჯახით რომში გადასახლდა, რადგან მუსოლინის წინააღმდეგ გაჩაღებულ მოძრაობაში ჩაება და იძულებული გახდა მილანი დაეტოვებინა. რომში მან სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი — ერთი დაჭაობებული ადგილი შეისყიდა და ფერმა მოაწყო.

ლუიჯი ალბერტინისა და ტატიანა სუხოტინას შეეძინათ შვილი — ლუიჯი ალბერტინი. ლ. ტოლსტოის შვილიშვილის შვილი ლუიჯი ალბერტინი ჯერ სამართლის ფაკულტეტზე სწავლობდა უნივერსიტეტში, შემდეგ კანადაში გაემგზავრა მეცხოველეობის შესასწავლად. ამ პროფესიას ღრმად დაეუფლა, დაბრუნდა იტალიაში და განაახლა მამისეული ფერმა.

ლუიჯი ალბერტინისა და ტატიანას შესახებ საინტერესო მასალა გამოაქვეყნა გაზეთმა „მოსკოვსკიე ნოვოსტმა“. აქ დაბეჭდილ ინტერვიუში მოთხრობილია იმის თაობაზე, თუ როგორ ოცნებობდა ლუიჯი ალბერტინი თავისი დიდი პაპის სამშობლოში ჩამოსვლას. და, აი, ახდა მისი ოცნება: იგი სსრ კავშირის აგრომრეწვთან შეთანხმებით თავისი მსოფლიოში სახელგანთქმული ფერმის „ტორე ინ პიეტრას“ ასლს ააგებს იასნაია პოლიანას მახლობლად.

ლუიჯი ალბერტინის ფერმა ამჟამად მთელ ევროპაში ცნობილი ზოოტექნიკური დარგის ცენტრია. მისი მუშაობის გასაცნობად აქ ჩადიან გამოჩენილი სპეციალისტები. ამ ფერმაში, რომელიც ტექნიკის უახლესი მიღწევებით არის აღჭურვილი, 250 ფურიდან თითოეული წელიწადში 10 ათას ლიტრ რძეს იძლევა. ეს თითქმის ორჯერ მეტია ჩვენს მაჩვენებელთან შედარებით. ფურების კვებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას განსაზღვრავს კომპიუტერები.

ლუიჯი ალბერტინი რუსულად უაქცენტოდ ლაპარაკობს. ამას მისი ბებიის ტატიანა ლევის ასულის ღვაწლად თვლის. — მან პირველი სიტყვები, — როგორც თვითონ ამბობს, რუსულად წარმოთქვა. იგი სიამოვნებით ისმენდა ბებიის ნაამბობს თავისი სახელოვანი მამის შესახებ. ლუიჯის ჰყავს სამი ვაჟი. მათგან ერთ-ერთი დიდი წინაპრის განსახიერებაა. მიხარია, რომ ჩემს შვილებს შესაძლებლობა ექნებათ ურთიერთობა იქონიონ საბჭოთა ხალხთანო, — ამბობს იგი.

ლუიჯის დედამ ტატიანა ნიკოლოზის ასულმა სუხოტინამ ლ. ტოლსტოის მუზეუმს ძვირფას რელიკვიად გადასცა ის ნივთები, რომელთაც ლ. ტოლსტოი ხმარობდა და მისივე არქივი — ორი ათასი გვერდი ხელნაწერი.

თამარ მარუაშვილი



# პატე-ფონი

ნამდვილი ამბავი

ქალაქის ახალაშენებულ, მრავალსართულიან სახლებს შორის ყოველ ცისმარე ნელი ნაბიჯით, აუჩქარებლად მიდიოდა გიორგი. გვიანი შემოდგომის ქარის სუსხი აქ უფრო მეტად ატანდა მის ბებერ ძვლებში, მაგრამ, თითქოსდა ქარაშოტის ჯიბრზეო, ხანშიშესული, ჭარმაგი კაცი მაინც თავისი ჩვეული სიდინჯით განაგრძობდა გზას სახელოსნოსაკენ. აქ იგი ტელევიზორებს ისევ ისეთი ერთგულებით და პასუხისმგებლობით არემონტებდა, როგორც ახალგაზრდობისას თავის ძველ, საყვარელ უბანში, ვერაზე. ხშირად ახსენდებოდა გიორგის თავისი მშობლიური ქუჩა, სახლი, ბინა საერთო აივნით, სადაც ჭირიცა და ლხინიც საზიარო ჰქონდათ მეზობლებს, ახსენდებოდა და ყოველ მოგონებაზე გული ეკუმშებოდა, თითქოს ვიღაცის ძლიერი ხელი მთელი ძალით ჩასჭიდებოდა მისი სხეულის ამ პატარა ნაწილს და სურდა მისი წარსულის მოგონებები გაეცოცხლებინა.

იმ დღეს მეშვიდე სართულამდე ლიფტით ავიდა. მაღალ, მუხის კარებს ახედა და ზარის ღილაკს თითი შეახო. კარი ხანშიშესულმა, თმაჭაღარა ქალმა გაუღო, რომელმაც გულთბილი მზერა მიაგება უცნობს და მორიდებით შეიპატიჟა ოთახში. გიორგიმ თავისი პატარა ჩემოდანი გახსნა, იარაღები ამოიღო და შავ-თეთრეკრანიანი ტელევიზორის შეკეთება დაიწყო. ხანშიშესული ქალი გვერდიდან არ მოსცილებია, მორიდებით მისჩერებოდა თავისი საქმის ერთგულ კაცს და აღარ იცოდა საუბარი რით დაეწყო. ბოლის გაბედა და ჰკითხა:

— ნასადილევი ბრძანდებით, ბატონო?

გიორგი წუთით შეჩერდა, გაოცებულმა, თავი მაღლა ასწია, რაც ახალ უბანში საცხოვრებლად გადმოვიდა, რამდენ ოჯახში არ მისულა ტელევიზორის შესაკეთებლად, მაგრამ ასეთი შეკითხვა მისთვის არავის დაუსვამს... ამ მიმართვამ გიორგის რაღაც შორეული გაახსენა... ვიღაც მოაგონდა, მაგრამ ვინ?... მაინც ვერ აღიდგინა გაფერმკრთალებული წარსული. გიორგიმ ქალს მორიდებით შეხედა და უპასუხა:

— გმადლობთ, ქალბატონო, დიდი მადლობა, ჩემმა კუდრაჭა შვილიშვილმა მასადილა და ისე გამომისტუმრა შინიდან.

— კარგით, ბატონო, მაშინ ხელს არ შეგიშლით. ისე კი, ამ ტელევიზორის შესაკეთებლად მე დავრეკე თქვენს სახელოსნოში, თორემ ჩემი შვილი და შვილიშვილები უკანასკნელი გამოშვების ფერადი ტელევიზორით სარგებლობენ, ეს ასე აქვთ უქმად მიტოვებული. გული მწყდება, რატომ უნდა იდგეს გამოუყენებლად, სხვა თუ არა, მე მაინც ჩავრთავ და ვუყურებ გადაცემებს ხანდახან მეთქი.

გიორგი ყურს უგდებდა ამ ხმატკბილად მოუბარ ქალს და ვერ გაეხსენებინა, საიდან იცნობდა. ვიღაცას კი ნამდვილად აგონებდა, მაგრამ ვის?... ამ ფიქრში იყო, რომ ქალმა ისევ დაარღვია სიჩუმე:

— უკაცრავად, ჩემო ბატონო, ერთი ძალიან დიდი თხოვნა მაქვს თქვენთან და, თუ შეგიძლიათ, უარს ნუ მეტყვით, ნუ გამაწბილებთ.

— ბრძანეთ, ქალბატონო, თუ ჩემს ძალას არ აღემატება, ნამდვილად არ გეტყვით უარს.

— როცა ტელევიზორის შეკეთებას მორჩებით, ერთი ძველი პატეფონი მინდა გაჩვენოთ, მე მგონი, მის შეკეთებას აზრი არა აქვს, ძალიან ძველია, ჩემს ახალგაზრდობაში მაჩუქეს და ახლა ასე, გაუქმებული, მიდევს. ჩემი შვილიშვილები მეჩხუბებიან, მოაშორე, ტყუილად ადგილს იჭერსო. გადასაგდებად ნამდვილად არ მემეტე-

ბა და ეგებ თქვენს სახელოსნოში გამოადგეს ვინმეს. პატეფონი თუ არა, ნაწილები მაინც.

გიორგი ტელევიზორის შეკეთებას მორჩა თუ არა ქალს პატეფონის ჩვენება თხოვა. მასპინძელმა მაშინვე გამოუტანა მეორე ოთახიდან ძველი, ფერგადასული ნივთი. ხელოსანმა პატეფონს თავსახური ახადა და ადგილზე გაქვავდა. პატეფონის შიგნით, მარჯვენა კიდეზე დანით ამოჭრილი ოთხკუთხა ასოებით დაწერილი სიტყვა „გიორგი“ ამოიკითხა.

* * *

... იმ წელიწადს, გაზაფხულზე საშუალო სკოლა დაამთავრა გიორგიმ. სამამულო ომი ერთი წლის დაწყებული იყო. უფროსი ძმა ფრონტზე გაიწვიეს. მამით ობლები იყვნენ. შინ მარტო ის და დედა დარჩნენ. სკოლის დამთავრებისთანავე ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ყმაწვილკაცობა ეწყებოდა... ყოველ დილით შინიდან იმ იმედით გადიოდა და ქარხნიდანაც იმავე ზრახვით ბრუნდებოდა, ეგებ სადმე მოეკრა თვალი მარისთვის. მარი კი ბოლო დროს, თითქოს მის ჯიბრზე, გარეთ ცხვირსაც აღარ ჰყოფდა.

გიორგი სულმოუთქმელად ელოდებოდა კვირა დღის გათენებას. ამ დღეს დილიდან საღამომდე შეეძლო მდგარიყო მარის სადარბაზოს წინ თავმოყრილ ვერელ თანატოლ ბიჭებთან. იდგა და საუბრობდა... ხან იცინოდა, ხან კი სერიოზულ სახეს იღებდა, გულისყური და თვალი კი მხოლოდ სანუკვარ მარის კარისკენ ჰქონდა მიპყრობილი. ათასში ერთხელ ბედი გაუღიმებდა და მარიც საზაფხულო აბრეშუმის ქსოვილისაგან შეკერილი კაბის შრიალით გამოივლიდა. მოაბიჯებდა წელში გამართული, ამაყი, თავდაჯერებული, მაგრამ ქალური, ნაზი, და იქვე მდგომ ბიჭებს კეთილი ღიმილით ესალმებოდა. ბიჭები კი მის დანახვაზე მყისვე წყვეტდნენ საუბარს და ასე გარინდებულები იყვნენ მანამ, სანამ მზისსადარი მარი ქუჩის ბოლომდე გავიდოდა და თვალს მიეფარებოდა... შემდეგ ისევ ახმაურდებოდნენ და ჰყვებოდნენ ათას ამბებს. მხოლოდ ერთადერთი გიორგი იყო, რომელსაც ხმის ამოღების სურვილი აღარ ჰქონდა და გულჩაწყვეტილი, ხელი ნაბიჯით, უხმოდ სტოვებდა ტოლ-მეგობრებს. შინ მივიდოდა და მისვლისთანავე უვახშმოდ დასაძინებლად გაემართებოდა, იმ იმედით, რომ მეორე დღეს შეხვდებოდა მარის, შეხვდებოდა და მარიც წინა დღისაგან განსხვავებით განსაკუთრებით მიესალმებოდა გიორგის, მიესალმებოდა და შეიძლება საუბარიც კი გაება მასთან.

აუსრულებელ ოცნებებში გადიოდა დღეები. მიიწურა ზაფხული. სექტემბრის ბოლო დღეს, საღამო ხანს, ზურგზე ჩანთაგადაკიდებულმა ფოსტალიონმა უხმოდ მიაწოდა გიორგის ფრონტზე გაწვევის უწყება და უხმოდ გასცილდა... ხვალინდელი ერთადერთი დღე, ერთადერთი საღამო დარჩენოდა შინ, ჭერქვეშ ყოფნისა, მეორე დღეს კი ფრონტზე უნდა წასულიყო. აღარ იცოდა, რა ექნა, მთელი დღე იბორიალა ქუჩაში. ბევრჯერ აუარ-ჩაუარა მარის სადარბაზოს, მაგრამ ამაოდ. შებინდებისას უკვე თავს აღარ შეეკითხა, ძალა მოიკრიბა, მარის ბინის კარს მიუახლოვდა და მორიდებით ზარის ღილაკს შეეხო. კარი მარიმ გააღო. თითქოს არც გაჰკვირვებია ბიჭის დანახვა, ისე გულთბილად შეეგება ღიმილით და შინ შეიპატიჟა. კარგა ხანს ორივე უხმოდ ისხდნენ. ბოლოს მარიმ დაარღვია სიჩუმე და მორიდებით ჰკითხა:

— ხომ არ გშია, გიორგი, შემიძლია გასადილო.

გიორგი უხერხულობის გრძნობამ შეიპყრო. აღარ იცოდა რა ეთქვა, ბოლოს ძალა მოიკრიბა და როგორც იქნა წაიბუტბუტა:

— არა, მარი, მე აქ სადილისათვის არ მოვსულვარ.. მე ხვალ ფრონტზე მივდივარ და მინდა დაგემშვიდობო.

— ფრონტზე?.. ყველა ფრონტზე მიდის. ომია, ომი, მალე ალბათ მთელი თბილისი დაცარიელდება.

— არაფერია, მარი. ჩვენ ყველა ერთად გამარჯვებულნი დავბრუნდებით.

— კი, დაბრუნდებით, აუცილებლად უნდა დაბრუნდეთ.... მაგრამ მუსიკის ხმას რომ ველარ მოვისმენ!...

— რა მუსიკის ხმას? — გაოგნებით შეეკითხა გიორგი.

— შენი სახლიდან რომ ისმის ხოლმე ყოველ დილით.

— ჰო, ჩემი ძმის ნაჩუქარ პატეფონს ვრთავ. მართალია, მასზე ძმის ხელით ამოჭრილი ჩემი სახელი აწერია, მაგრამ შემიძლია გისახსოვრო, ჩამი სახლიდან წასვლის შემდეგ მას მაინც აღარავინ ჩართავს და გქონდეს.

— არა, გიორგი, ძმის ნაჩუქარი მე რატომ უნდა მისახსოვრო...

— მაშინ ჩემს ჩამოსვლამდე დაგიტოვებ და, ფრონტიდან რომ დავბრუნდები, მერე უკვე ერთად მოვუსმინოთ.

— ძალიან დიდი მადლობა, გიორგი, შენი ნება იყოს!...

მეორე დღეს გიორგი ფრონტზე წავიდა. ბევრმა საბრძოლო დღემ ჩაიარა, ომიც დამთავრდა, გიორგი დაბრუნდა, მარის ბინაში სხვა ოჯახი გადმოსულიყო. ომგადახდილ გიორგის დედამ ამბავი დაახვედრა: მარის მამა ფრონტზე დაიღუპა, ოჯახი კი საცხოვრებლად სოფელში გადავიდაო. გიორგიმ მთელი მეზობლები დაჰკითხა, მაგრამ, თითქოს მის ჯიბრზე, არავინ იცოდა მარის ასავალ-დასავალი, არც იმ სოფლის ადგილსამყოფელი, სადაც მარი ცხოვრობდა. ყველა ოჯახს თავისი სატკივარი ჰქონდა.

... ქალაქის ახლადაშენებულ მრავალსართულიან სახლებს შორის მხრებდაშვებული, ნელი ნაბიჯით, მიდიოდა გიორგი. გვიანი შემოდგომის ქარის სუსხი ძლიერად ატანდა ძვლებში, მაგრამ, თითქოს ქარის ჯიბრზეო, ხანშიშესული ჭარმაგი კაცი, რომელსაც ერთ ხელში სამუშაო პატარა ჩემოდანი ეჭირა, ხოლო მეორეში ძველი პატეფონი, მაინც თავისი ჩვეული სიდინჯით განაგრძობდა გზას... ახსენდებოდა გიორგის თავისი ძველი საცხოვრებელი ქუჩა, სახლი, ბინა საერთო აივნით, სადაც ჭირიცა და ლხინიც საზიარო ჰქონდათ მეზობლებს... ახსენდებოდა და ყოველ მოგონებაზე გული ეკუმშებოდა, თითქოს ვიღაცის ძლიერი ხელი უჭერდა მთელი ძალით მისი სხეულის ამ პატარა ნაწილს და წარსულის მოგონებებიც დაუსრულებლად ცოცხლდებოდა.

**ირმა კეკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლარისა შეპიტკო



ცენტრალურმა ტელევიზიამ ახლახანს დაამთავრა ლარისა შეპიტკოს ფილმების რეტროსპექტული ჩვენება, რაც რეჟისორის დაბადების ორმოცდაათ წლისთავს მიეძღვნა. ის ხუთი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, რომელთა გადაღებაც მოასწრო რეჟისორმა, განსაზღვრავს ლარისა შეპიტკოს მიერ 70-იანი წლების კინემატოგრაფში ფიქრიანად განვლილ გზას და შესულია საბჭოთა კინოხელოვნების ოქროს ფონდში. მოგითხრობთ მათ შორის საუკეთესოებზე.

...ისინი განთიადზე ჩამოახრჩეს. მამასახლისი, ქალი, გოგონა და სოტნიკოვი. მეხუთე ყულფი ცარიელი დარჩა — რიბაკი შეშინდა, გასცა თავისიანები და ცოცხალი გადარჩა.

კაცმა ღალატი ჩაიდინა იმიტომ, რომ არ უნდოდა მომკვდარიყო, შეშინდა სიკვდილის პირისპირ... განსჯის მას შთამომავლობა?! გაკიცხავენ, რა თქმა უნდა, მაგრამ ცოცხლად დარჩენილი, აპატიებს ის თავისთავს ამას?

მოიქცე გმირულად, გადაარჩინო ამხანაგი, საფრთხეში ჩაიგდო თავი, არ მიატოვო, თოვლის ნამქერებში ათრიო დაჭრილი, საკუთარი მხრებით გამოიყვანო ტყიდან, იშოვნო ცხვარი, იჩქარო უხურსათოდ დარჩენილი ამხანაგებისაკენ, ამ დროს ჩაუვარდე გერმანელებს და... შეშინდე, გასცე.

რატომ? როგორ ხდება ყველაფერი ეს? რა საწყისია უფრო ძლიერი ადამიანში? — თითოეული ხომ თავისებური, განსხვავებული სამყაროა.

თავის ფილმებში ლარისა შეპიტკო მუდამ ჩვეულებრივ, მაგრამ უჩვეულოდ რთულ სიტუაციებში ჩაყენებულ ადამიანებს იკვლევს, იგი მათ სხვანაირი თვალით უყურებს. ცდილობს ჩასწვდეს ადამიანის წინააღმდეგობრივ ბუნებას, ამით ანგრევს რა ჩვეულებრივ სქემებს, შაბლონებს, სტერეოტიპებს. ჩვენ ხომ ბევრი ისეთი ფილმი გვინახავს, რომლებშიც სასიკვდილოდ მიმავალი გმირი „ინტერნაციონალს" მღერის; გვინახავს ისეთი გმირებიც, რომლებიც მამაცურად იტანდნენ არაადამიანურ ტანჯვას, უტეხად დუმდნენ და ამხანაგები არ გაუციათ.

მაგრამ სინამდვილეში ხომ იყვნენ ისეთებიც (და საფიქრებელია, არც ცოტანი) რომელთა ადამიანური ბუნება წინააღმდეგობას ვერ უწევდა არაადამიანურს, ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ მხოლოდ კაცნი იყვნენ და არა ღმერთები!

რთული ამოცანა იდგა ლარისა შეპიტკოს წინაშე ფილმში „ზეასვლა" — ეჩვენებინა გამცემლობის ზღვართან მდგარი ადამიანები, განესაჯა, მაგრამ, ამავე დროს, ცდილიყო გაეგო მათთვის; გაეგო დედისთვის, რომელმაც შინ სამი პატარა ბავშვი დატოვა, შემთხვევით ჩაუვარდა გერმანელებს და სახრჩობელაზე აღმოჩნდა; გაეგო მისი შეცბუნება, შიში საკუთარი და ბავშვების ბედისადმი, სიცოცხლის წყურვილი, მცდელობა — რადაც უნდა დაუჯდეს, გადარჩეს გაერკვეს რიბაკის ხასიათში, აყენებს რა მას რთული არჩევანის წინაშე: სიკვდილი თუ სიცოცხლე. „სიცოცხლე" — გადაწყვიტა რიბაკმა (სული ტკბილია!) და დათანხმდა პოლიციელი გამხდარიყო.

ასე მთავრდება ეს ფილმი, მაგრამ რეჟისორი ჩვენს ყურადღებას ამახვილებს არა ფინალზე (რაც თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანია), არამედ გზაზე, რომელსაც გაივლიან გმირები და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ კანონზომიერებას, რომელსაც ამ გამოსავალთან — ღალატთან მივყავართ. მაგრამ სურათის ფინალი მაინც საიმედოა: მანამ, სანამ ადამიანი არ გადაჩვევია ტირილს, მას რჩება იმედი, არ დაკარგოს თავისი ადამიანობა.

და კიდევ, „ზეასვლის" ავტორებმა შეძლეს ახლებურად, სხვა კუთხით ეჩვენებინათ ომის ესოდენ საშინელი სახე.

1976 წელს გადაღებული ფილმი „ზეასვლა" ლარისა შეპიტკოს საუკეთესო ნამუშევართა რიცხვს მიეკუთვნება. ამ სურათმა დასავლეთ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი ჯილდო „ოქროს დათვი" მოიპოვა.

ლარისა შეპიტკოს მომდევნო ფილმს „მატიორასთან გამოთხოვება" უნდა რქმეოდა, მაგრამ ბედი სხვაგვარად სჯიდა. დიდ ეკრანზე სურათი გამოვიდა სათაურით „გამოთხოვება" და იგი განსვენებული ლ. შეპიტკოს ქმარმა, კინორეჟისორმა ელემ კლიმოვმა დაამთავრა (ჩვენი მაყურებელი მას იცნობს ფილმებით „აგონია", „მოდი და ნახე", რომლებიც ახლახანს გადიოდა ეკრანებზე და სხვ.). ლარისა ახლებურად ხედავდა მწერალ ვალენტინ რასპუტინის ამავე სახელწოდების მოთხრობაში დასმულ პრობლემებს და მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმეს. სცენარი, რომელიც ლარისა შეპიტკომ, რუდოლფ იურინმა და გერმან კლიმოვმა დაწერეს, უკვე რეჟისორულად დამუშავებული და წარმოებაში ჩაშვებულიც იყო, მიმდინარეობდა სასინჯი გადაღებები, როლებზე ამტკიცებდნენ მსახიობებს, არჩევდნენ ნატურას, სწორედ ნატურის სანახავად წავიდნენ მანქანით და ლარისამ რა იცოდა, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი გზა... სიკვდილი უცბად, შემთხვევით — საავტომობილო კატასტროფის შედეგად მოხდა. თუმცა ვინ იცის, შეიძლება სიკვდილი შემთხვევითი იყო?!

დაბადება ყოველთვის უდავოდ კანონზომიერია. ამ კანონზომიერებამ აჩუქა სიცოცხლე ლარისა შეპიტკოს 1938 წლის 6 იანვარს. უკვე 1963 წელს დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფისტთა საკავშირო ინსტიტუტი (მ. რომის სახელოსნო), ამავე წელს შედგა მისი დებიუტი—ეკრანებზე გამოვიდა პირველი ფილმი „პაპანაქება" (სცენარი დაწერა ი. ოლშანსკიმ ი. პოველეცკისა და ლ. შეპიტკოს მონაწილეობით), რომელიც ჩინგიზ აითმატოვის მოთხრობის „აქლემის თვალის" მოტივებზე შეიქმნა. სწორედ „მოტივებზე", რადგან ფილმზე მუშაობის დროს ლიტერატურული პირველწყარო რამდენადმე შეიცვალა, ავტორებმა დაუმატეს ისეთი სცენები და ეპიზოდები, რომელთა დახმარებითაც უკეთ გაიხსნა გმირთა ხასიათი ეკრანზე, ფსიქოლოგიურად დასაბუთდა მათი ქცევის მოტივაცია, ორი მოწინააღმდეგე მხარის შეჯახების ფონზე გამოიკვეთა ზნეობრივი პრობლემები.

ფილმი „პაპანაქება" ახალბედა რეჟისორის თამამ ძიებათა, მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის დასაწყისი იყო. ეს სურათი საკავშირო კინოფესტივალისა და კარლოვივარის საერთაშორისო ფესტივალის დიპლომებით აღინიშნა.

ამას მოჰყვა „ფრთები" (1966 წ. სცენარის ავტორები ვ. ეჟოვი, ნ. რუმიანცევა). ამ ფილმში ლარისა შეპიტკო დროისა და გარე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოს მიხედვით ჩამოყალიბებული ხასიათის ცხოვრებისეულ სირთულეებს იკვლევს. მიმართავს რა თანამედროვეობას, რეჟისორი თავისი გმირის ხასიათში გაჩენილი სუბიექტივიზმის ძირებს მის წარსულში — გმირი მფრინავი ქალის ცხოვრებაში ეძიებს. სურათში ამ ჭეშმარიტად არაჩვეულებრივ ქალს (მსახიობი მაია ბულგაკოვა) ვხედავთ მშვიდობიან დღეებში, უკვე არა სამხედრო, არამედ სამოქალაქო სამსახურში მყოფს (ის მუშა ახალგაზრდობის აღმზრდელია); მაგრამ არმია, იქ შეძენილი ჩვევები, პატიოსნება და სწორხაზოვნება, — პირდაპირ უნდა ვთქვათ, ხელს უშლიან ნადეჟდა პეტრუხინას ცხოვრებაში. ის ვერ ამყარებს კონტაქტს ადამიანებთან, ახალგაზრდებთან, შვილობილთან. გმირი მაყურებელს აღუძრავს სიბრალულსა და პატივისცემას, უსიამოვნო გრძნობასა და აღტაცებას ერთდროულად. შემდეგ კი რეჟისორი ფაქიზად და ჰკვიანურად თანდათან გვაგრძნობინებს, — აუჩქარებლად გადმოსცემს რა ფილმის მთელი არქიტექტონიკით, — ადამიანთა ურთიერთობის ევოლუციას: ფინალში ჩვენ პეტრუხინას სახით უკვე სულ სხვა ადამიანი გვევლინება.

„ფრთებზე" მუშაობისას ლარისა შეპიტკომ „აღმოაჩინა" მსახიობი. მაია ბულგაკოვას მანამდეც არაერთი ეპიზოდური როლი ჰქონდა ნათამაშევი კინოში, მაგრამ მისი მრავალმხრივი ნიჭის დანახვა და შეფასება მხოლოდ ლ. შეპიტკომ შეძლო. სწორედ რეჟისორის მოქალაქეობრივმა და შემოქმედებითმა პატიოსნებამ, ხელოვნებისა და ადამიანის გულწრფელობამ, სწრაფვამ სიმართლისაკენ აგრძნობინა მას სულიერი ნათესაობა მსახიობთან და შეაძლებინა ორივეს ლ. შეპიტკოს რეჟისორული ხედვისა და მ. ბულგაკოვას აქტიორული პლასტიკის საშუალებით ხორცი შეესხათ ნადეჟდა პეტრუხინას ძალზე რთული ხასიათისთვის.

აი, ყველაფერი, რაც ლარისა შეპიტკოსა და მისი ფილმების შესახებ შეიძლება ითქვას საჟურნალო წერილში, როცა საჭიროა მოკლედ გადმოსცე ამ ჭკვიანი ქალი-რეჟისორის არაჩვეულებრივი შემოქმედების არსი, მაგრამ სანამ დავამთავრებდე, მინდა გაგაცნოთ ლარისას თანაკურსელების, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, რეჟისორ კინოდოკუმენტალისტ ჯემა ფირსოვასა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კინორეჟისორ გიორგი შენგელაიას აზრი:

„ლარისას ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისება იყო ის, რომ ვერ ურიგდებოდა სიყალბეს. მან მთელი გულით, გულწრფელად იცოდა მეგობრობა და სიყვარული და ყოველთვის ამასვე იმკიდა".

„სტუდენტობის გახსენებას ყოველთვის ახლავს სევდა იმისა, რომ მოუბრუნებლად წავიდა, მე ვიტყოდი, ჩვენი ცხოვრების საუკეთესო პერიოდი. განსაკუთრებით როცა იხსენებ მათ, ვინც უკვე აღარ არის ჩვენს შორის. ლარისა შეპიტკო ჩვენს კურსზე სულიერი და ფიზიკური სილამაზით გამორჩეული იყო".

ვერა გიუნაშვილი

# [illegible]



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე ეთერ გიორგის ასული ჟორდანია სამამულო ომის მძიმე წლებში ევაკოჰოსპიტლის ექიმად გაამწესეს, სადაც ახალგაზრდული ენერგიითა და სითბოთი კურნავდა დაჭრილებს, სიცოცხლეს უნარჩუნებდა მათ. ომის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა კახეთის სხვადასხვა რაიონებში, გაგრის ერთერთ სანატორიუმში, ზუგდიდის რაიონის საავადმყოფოში და ბოლოს (ოცდაათ წელზე მეტი), თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სამედიცინო-სანიტარული ნაწილის ელექტროკარდიოგრაფიის კაბინეტის გამგე იყო. აქ მან სიცოცხლის დასასრულამდე დაჰყო. ქალბატონი ეთერი სამედიცინო სამსახურს შესანიშნავად უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი წლების მანძილზე სამედიცინო სანიტარული ნაწილის გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა, არჩეული იყო თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ერთ-ერთი მოწვევის დეპუტატად.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ავადმყოფებთან ურთიერთობაში ექიმი კარდიოლოგი ეთერ ჟორდანია, არასოდეს დაავიწყდება მისი პროფესიული ალღო. გულისხმიერება და საოცრად თბილი მიდგომა პაციენტებისადმი. მისი პირველი „რეცეპტი" ღიმილით ნათქვამი იმედიანი სიტყვა იყო მუდამ. იმედი კი... იმედით ცოცხლობს ადამიანი.

ქალბატონ ეთერს გულთან მიჰქონდა ავადმყოფის ფიზიკური თუ სულიერი ტკივილი, ახლობელივით ეფერებოდა, ანუგეშებდა და ყველა ღონეს ხმარობდა მის გასაჯანმრთელებლად. აი, ამიტომ დარჩა მადლიერ ადამიანთა ხსოვნაში ქალბატონი ეთერის პიროვნება.

დავით კალანდია,

სკკპ წევრი 1940 წლიდან, ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი.



**მირიან მესტიაშვილი,** რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა მთავარი ფსიქიატრი. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნევროზის გამომწვევი მიზეზები ბავშვებსა და მოზარდებში

ნევროზი ფსიქოგენური დაავადებაა, რომელიც ვითარდება მწვავე ან ხანგრძლივი უსიამოვნო განცდების შედეგად.

ბავშვთა და მოზარდთა ასაკში, ნევროზი ხშირ შემთხვევაში არასწორი აღზრდის შედეგადაც გამოვლინდება ხოლმე.

ზოგიერთი მშობელი იმდენად ტვირთავს ბავშვს, რომ არ ითვალისწინებს მის გონებრივსა და ფიზიკურ შესაძლებლობებს, ნერვული სისტემის ამტანიანობას, რის გამოც იძაბება, ირღვევა ნერვული პროცესების წონასწორობა, რაც საუკეთესო პირობაა ნევრასთენიული ნევროზის წარმოშობისათვის. ბავშვს ასეთ შემთხვევაში ეწყება უძილობა, თავის ტკივილი, ადვილად იღლება, ეკარგება მადა, უმნიშვნელო მიზეზზე ქინიანობს, მკვეთრად უქვეითდება გონებრივი მუშაობის უნარი, გამოეხატება საერთო სისუსტე, ჭარბი ოფლიანობა, ზოგჯერ უსიამოვნო შეგრძნება გულის მიდამოში, ჰაერის უკმარისობა და ზოგჯერ კუჭ-ნაწლავის სისტემის მოშლაც.

ზოგიერთ ოჯახში დაბადებიდანვე კერპად აქცევენ შვილს; გადაჭარბებული ყურადღება კი ბავშვს უჩენს აზრს, რომ ის ყველაზე კარგია ოჯახში და უყალიბდება ეგოიზმი და ავადმყოფური პატივმოყვარეობა; როცა ბავშვს „ცივ ნიავს არ აკარებენ" და ყოველგვარ სურვილს უსრულებენ, შემდგომ ასეთ ბავშვს არ შეუძლია გადალახოს სულ მცირედი წინააღმდეგობაც კი, და უმნიშვნელო დაბრკოლებისას შეიძლება განუვითარდეს ისტერიული ნევროზი. ისტერიული აშლილობანი ვლინდება სხვადასხვა სისტემების სფეროში. უფრო ხშირია მოტორული და მგრძნობელობითი დარღვევები: კიდურების დამბლა, მეტყველების დროებითი დაკარგვა, ისტერიული „სიბრმავე", უნებური მოძრაობები, ქორეისმსგავსი შეკრთომები, კრუნჩხვითი გულყრები, ყელში სპაზმი და სხვ. ხშირია აგრეთვე შინაგანი ორგანოების ფუნქციის აშლა: პირისღებინება, ყლაპვის გაძნელება, სუნთქვის დარღვევა, ხველება, სლოკინი, შარდის შეკავება და სხვა. .

არის ისეთი ოჯახებიც, სადაც მუდმივ თრგუნავენ ბავშვის დამოუკიდებლობას და უხშობენ ყოველგვარ ინიციატივას. ასეთ სიტუაციაში აღზრდილი ბავშვი სწორად ვეღარ აფასებს თავის შესაძლებლობებს: ხდება გულჩათხრობილი, ყოყმანა, თავის თავში დაურწმუნებელი, რის გამოც უვითარდება ფსიქოსთენიური ნევროზი. ამგვარი ბავშვები მუდმივად ამოწმებენ თავის მოქმედებას. მაგალითად, დაკეტეს თუ არა კარი, ჩააქრეს თუ არა სინათლე, სწორად თქვეს თუ არა წინადადება. საერთოდ ისინი ხდებიან დაძაბულნი. ასეთი ბავშვების პიროვნებაში თავს იჩენს იჭვნეულობის ნიშნები და როცა იგი აწყდება გარემო წრის სიძნელეებს, ან როცა მასზე მოქმედებს უსიამოვნო განცდები, ბევრ შემთხვევაში — უვითარდება აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზი, რომელიც უპირატესად ვლინდება აკვიატებული მოძრაობების და მოქმედების სახით. მაგალითად, — გადაფურთხება, წამოყვირება, შეხტომა ან შემოტრიალება, თავის რამდენიმეჯერ დაქნევა, სხეულის მიხრა-მოხრა სხვადასხვა მიმართულებით, ხელის ან ფეხის ერთჯერადი ან განმეორებითი შეხება რაიმე საგანზე და მრავალი სხვა უცნაური და გარეგნულად უმოტივო მოძრაობა.

მოზარდთა შორის გვხვდება ნევროზულ აშლილობათა ერთი თავისებური ფორმა, რომელსაც „სკოლის ნევროზი" ეწოდება. აღნიშნული ნევროზი ძირითადად ვლინდება შიშის სინდრომის და ისტერიული რეაქციების სახით, ხშირია აგრეთვე ქცევის აშლის მოვლენებიც. ასეთი ბავშვები სკოლაში წასვლის წინ ავლენენ სხვადასხვა სახის ავადმყოფურ ნიშნებს: გულისრევა, პირის ღებინება, უნებური მოძრაობები ცალკეულ კუნთებში, მეტყველების მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა, ხმის დაკარგვა და სხვ. სკოლის გზაზე ხშირია ქვედა კიდურების მოულოდნელი სისუსტე იოლი (ისტერიული) დამბლის მოვლენებით. გაკვეთილებზე „სკოლის ნევროზით" დაავადებულ ბავშვს ხშირად აღენიშნება ამორჩევითი მუტიზმი (სრულიად „მუნჯდება" პედაგოგებთან, არ პასუხობს შეკითხვებზე, თანაკლასელებთან და ოჯახის წევრებთან კი საუბრობს), ხშირია ენაბორძიკობა, შარდის შეუკავებლობა.

„სკოლის ნევროზი" ვლინდება ე. წ. მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდინის შიშის განცდის სახით (მოლოდინი ცუდი ნიშნის მიღების, დაფასთან გამოძახების, საკონტროლო წერის, გამოცდების, დასჯის). შიშს ყოველთვის თან სდევს ავადმყოფური ნიშნები: თავის ტკივილი, უძილობა, დაწეული (დეპრესიული) გუნება-განწყობა, გარშემომყოფებთან კონტაქტების შეზღუდვა. ხშირია ე. წ. უარყოფისა და პროტესტის პიროვნული რეაქციები, რომელთა დროს ასეთი მოსწავლეები საერთოდ უარს აცხადებენ არა მარტო სწავლის გაგრძელებაზე და სკოლაში სიარულზე, არამედ თამაშზე, გართობაზე, ზოგჯერ საჭმლის მიღებაზეც. მათ ახასიათებთ უხეშობა, აგრესიული ქცევა და ოპოზიციური დამოკიდებულება მშობლებისა და პედაგოგების მიმართ.

„სკოლის ნევროზებს“ იწვევს ერთ შემთხვევაში სწავლის სიძნელე და აკადემიური წარუმატებლობის განცდა, მეორე შემთხვევაში — ოჯახში არასწორი აღზრდა და ბოლოს — პედაგოგიური (დიდაქტიკური) შეცდომები.

სამედიცინო პრაქტიკაში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება შემთხვევები მოსწავლის ნევროზული მდგომარეობის განვითარებისა პედაგოგიური ტაქტის დარღვევის შედეგად. ასეთი გზით აღმოცენებულ ნევროზს ეწოდება დიდაქტოგენური ნევროზი.

დიდაქტოგენურ ნევროზს განაპირობებს პედაგოგის მიერ დაუმსახურებელი და უადგილო შენიშვნების მიცემა, უტაქტო და უხეში მიმართვა, დაშინება, მოსწავლის მიმართ არაკეთილსასურველი და დაძაბული დამოკიდებულება, და რა თქმა უნდა, ფიზიკური დასჯის შემთხვევებიც.

დიდი ჰუმანისტი მწერალი ჩარლზ დიკენსი თავის დროზე თავგამოდებით ილაშქრებდა ბრიტანეთის სკოლაში გამეფებული სისასტიკის წინააღმდეგ, მაგრამ იქ დღესაც გრძელდება ეს საშინელი ანაქრონიზმი. ჩვენთან ბევრი პედაგოგი ვერც კი დაუშვებს აზრს, რომ სკოლებში ოდესღაც შესაძლებელი იყო მოსწავლის ფიზიკური დასჯა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი პედაგოგი, ჰკარგავს პედაგოგიურ ტაქტს. ღალატობს პროფესიონალურ ეთიკას, სცოდავს და მიმართავს პედაგოგისათვის სრულიად დაუშვებელ ქცევას: მუქარას, მოსწავლის სასწავლო ნივთის გადაგდებას, ხელის კვრას, ყურის აწევას და სხვ..

„სკოლის ნევროზები“, ისე როგორც საერთოდ ნევროზული აშლილობანი, უკუქცევადი და მოსარჩენი დაავადებაა, მაგრამ სამკურნალო და პედაგოგიურ-კორექციული ღონისძიებების დაგვიანების დროს ნევროზი ღებულობს მყარ მიმდინარეობას და შესაძლებელი ხდება პიროვნების ანომალური განვითარების (ფსიქოპათიზაციის) აღმოცენება.

როგორც აკადემიკოსი ავლიპ ზურაბაშვილი აღნიშნავს, სწორი აღზრდა საიმედო საშუალებაა ბავშვთა ხასიათის ანომალიისა და ნევროზულ აშლილობათა თავიდან ასაცილებლად.

# ყველამ უნდა ვიცოდეთ!

## როგორ მოვიქცეთ ცხიმით დამწვრობისას?

თუ ტაფაზე მოთუხთუხე ცხიმი შეგეშხეფათ, დამწვრობამიღებული ხელი ან ფეხი დაუყოვნებლივ შეუშვირეთ 10-15 წუთით ცივი წყლის ნაკადს ან დაიდეთ და მალმალე იცვალეთ ცივი წყლის საფენები, მაცივრიდან გამოღებული ყინული ან გაყინული ხორცი (ხორცი ან ყინული წინასწარ მოათავსეთ სუფთა ცელოფანის პარკში.)

ამის შემდეგ დამწვარი კანი სუფთა ქსოვილით — მარლით ან პირსახოცით (პირსახოცი ხაოიანი არ უნდა იყოს) ფრთხილად შეიმშრალეთ. კანიდან ცხიმის ნარჩენები მოიშორეთ საპნიან წყალში დასველებული ბამბით.

როცა დამწვრობა დიდი არ არის, კანი მხოლოდ გაწითლებულია და ზედ წვრილი ბუშტულებია, შეგიძლიათ არ შეიხვიოთ. სრულიად საკმარისი იქნება, თუ დამწვრობამიღებულ კანზე დღეში რამდენჯერმე შეიშხეფებთ სპეციალურ აეროზოლებს „ლევიანს“, „ვინიზოლს“, „ოქსიციკლოზოლს“, „პანტენოლს“, რომლებიც სპეციალურად ზედაპირული დამწვრობის სამკურნალოდ იხმარება და აფთიაქში ურეცეპტოდ იყიდება.

თუ ცხიმით დამწვარ კანზე სითხით სავსე მოზრდილი ბუშტები ამოიზარდა, სწრაფად დაიფინეთ ზედ მშრალი სტერილური საფენი, ხალვათად გადაიხვიეთ ბინტის რამდენიმე ფენით და დაუყოვნებლივ მიმართეთ ტრავმატოლოგიურ პუნქტს ან პოლიკლინიკის ქირურგს. ქუთუთოს ან თვალის დამწვრობისას მაშინვე ეჩვენეთ ოფთალმოლოგს.

ნუ ჩახერგავთ სამზარეულოს, განსაკუთრებით კი გაზქურის ან ღუმელის ახლოს. ნიადაგ თვალწინ იქონიეთ სადგამი და ჩვარი ცხელი ტაფებისა და ქვაბების ხელმოსავლებად და დასადგმელად.

ექ. დ. ხოლოდნი.
„ზდოროვიე“. № 10, 1987 წ.

## თმა თუ გცვივათ..:

თმის გასამაგრებლად და გასაზრდელად ისარგებლეთ ასეთი რეცეპტით: აიღეთ (თანაბარი რაოდენობით) მრავალძარღვა, სალბი, ჭინჭარი და თავშავა. ერთ სუფრის კოვზ მათ ნარევს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი და ჭურჭელს თავი დაახურეთ. ერთი საათის შემდეგ გაწურეთ და ნაყენს ჩაუმატეთ შავი პურის გული, იმდენი, რომ ფაფის სისქისა გახდეს. თბილ-თბილი შეიზილეთ თავის კანში, თავი კი ჯერ პოლიეთილენის პარკით, შემდეგ კი თავშლით შეიხვიეთ და ასე თბილად გაიჩერეთ ორი საათის განმავლობაში. შემდეგ თავი თბილი წყლით, უსაპნოდ დაიბანეთ და ჰაერზე გაიშრეთ.

აი სხვა რეცეპტიც:

ერთმანეთს შეურიეთ მუხის ქერქი და ძველი ხახვის ფურცლები. ერთ ჭიქა ამ ნარევს დაასხით ერთი ლიტრი მდუღარე წყალი და ნელ ცეცხლზე გააჩერეთ ერთი საათი. შეაგრილეთ, გაწურეთ და ამ ნაყენით დაისველეთ თმა. შემდეგ ისე მოიქეცით, როგორც წინა რეცეპტშია მითითებული.

ს. ნ. ბარამოვი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.
„ზდოროვიე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვება და ჯანმრთელობა

## ექიმი გვირჩევს



სწორი, ორგანიზებული კვება ჯანმრთელობის საწინდარია. ორგანიზებული კვება კი, უპირველესად ნიშნავს საკვების მიღების ჯერადობას. ყველამ კარგად იცის, რომ დღის განმავლობაში კვება სამჯერადი უნდა იყოს, თუ რამე პათოლოგიასთან ე. ი. ავადმყოფობასთან არა გვაქვს საქმე; ეს კერძო საკითხია და ამაზე ჩვენ არ შევჩერდებით.

საკვების მხოლოდ სამჯერადად მიღებაც სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სწორად იკვებება ადამიანი, მთავარია, თუ როგორ ხდება დღის განმავლობაში საკვების რაოდენობითი განაწილება.

როგორც წესი, საუზმე უნდა მიიღოს ადამიანმა დილის 8-9 საათზე და არა ისე, როგორც ხშირად არღვევენ ხოლმე რეჟიმს. ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს საკვების მიღებისას ორგანიზმში გამომუშავდება სახარგებლო ჩვევა, კუჭ-ნაწლავი ემზადება ანუ განეწყობა საკვების გადასამუშავებლად (გამოყოფს კუჭის წვენს) და, რაც მთავარია, ორგანიზმი (ენერგიის გამოყოფით) მოემზადება შრომისათვის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მშიერი ადამიანი ნაკლებ შრომისუნარიანია. უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად ზოგიერთი ჩვენთაგანი დილით არც კი საუზმობს და თუ იმასაც დავუმატებთ, რომ საუზმის ნაცვლად სიგარეტს ეწევა, ეს იმას ნიშნავს, რომ ზიანს აყენებს თავის ორგანიზმს და ნაცვლად სახარგებლო საკვებისა, ღებულობს შხამს (ნიკოტინს), რომელიც აძაბუნებს ადამიანის ორგანიზმს. საკვების მიღების მეორე ჯერი სადილია. სადილობის დროდ ყველაზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია დღის 13-14 საათი, — ეს დრო სამუშაოზე მყოფთათვის ემთხვევა შესვენებას, და მით უფრო მოხახერხებულია მოზარდებისათვის და სტუდენტი ახალგაზრდებისათვის, რომელნიც სკოლაში ან უმაღლეს სასწავლებლებში არიან. ეს დრო ემთხვევა დიდ შესვენებას ანდა ლექციებს შორის შუალედს; მესამე ჯერი კვება, ანუ, თუ შეიძლება ამას ვუწოდოთ დიდი სადილი, სასურველია არაუგვიანეს 19 საათისა. იგი არ უნდა გადაიოდეს ვახშამში, რომელსაც ხშირად გვიან საათებში მიირთმევენ ხოლმე და სრულებითაც არ არის სასარგებლო, რადგან, როცა საკვებს ვიღებთ ძილის წინ, ამით ვტვირთავთ ორგანიზმს, ადამიანს ეკარგება მშვიდი ძილი და იგი მეორე დღეს ნაკლებ შრომისუნარიანია.

დაუშვებელია, როდესაც მოზრდილი თუ მოზარდი დღეში ორჯერ, ანდა ერთხელ ღებულობს საკვებს, და ისიც — საღამოს, თანაც დიდი რაოდენობით; ამას შეიძლება მოჰყვეს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, აგრეთვე ორგანიზმის სხვადასხვა დაავადება, მათ შორის გულსისხლძარღვთა დაავადებაც კი.

საუზმე უნდა შეადგენდეს დღიური რაციონის 25 პროცენტს. სადილი — 50 პროცენტს, მესამე ჯერადი კვება — 25 პროცენტს.

ადამიანის ყოველდღიური საკვები უნდა იყოს ნოყიერი, გემრიელი, სასიამოვნო სუნისა და ადვილად მოსანელებელ-შესათვისებელი.

ცოცხალი ორგანიზმის არსებობისათვის უმნიშვნელოვანეს საკვებ ნივთიერებას წარმოადგენს ცილა. ცილის შეცვლა ორგანიზმში თითქმის შეუძლებელია. ცილას კი შეუძლია სხვა აუცილებელი კომპონენტების — ცხიმისა და ნახშირწყლების შეცვლა ორგანიზმში მისი გარდაქმნის შემდეგ.

წარმოშობის მიხედვით ცილები ორგვარია: ცხოველური (რომელსაც შეიცავს ყველა სახის ხორცეული, თევზი, კვერცხი, რძე და რძის ნაწარმი) და მცენარეული (რომელსაც შეიცავს ლობიო, მუხუდო, სოიო, ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი, ცერცვი, შვრია და სხვა ბურღულეული), თუმცა მცირე რაოდენობის ცილებს ბოსტნეულის და მწვანილის ფოთლოვანი ნაწილები და ძირებიც შეიცავს. როგორც ცხოველური, ასევე მცენარეული ცილა სრულფასოვანია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ცხოველური ცილებით ორგანიზმის შევსება უფრო ადვილია, ვინაიდან ცხოველური ცილების ძირითადი პროდუქტები გაცილებით მეტ პროცენტ ცილას შეიცავს (ხორცეული, თევზეული, კვერცხი, რძე და მისი ნაწარმი), ვიდრე მცენარეულისა. ისე კი კვება სრულფასოვანი და რაციონალური მაშინ იქნება, თუ საკვებში შედის როგორც ცხოველური, ისე მცენარეული წარმოშობის ცილები. ცხოველურ ცილებს ყველაზე ადვილად რძის ნაწარმისაგან ვითვისებთ (რძე, ყველი, ხაჭო და რძის მჟავე პროდუქტი — ნადუღი, რომელიც მზადდება ჭათხისაგან, ანუ როგორც წარმოებაში უწოდებენ — შრატისაგან), გარდა სასარგებლო და ადვილად შესათვისებელი ცილებისა და ცხიმებისა, რძე შეიცავს აგრეთვე კალციუმის მარილებს (რომელიც აუცილებელი კომპონენტია, განსაკუთრებით მოზარდი ორგანიზმისათვის) და ორგანიზმისათვის საჭირო მიკროელემენტებს. რძეს და რძის პროდუქტებს დიდი როლი ენიჭებათ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვადასხვა დაავადებათა დროს.

შემდეგი აუცილებელი საკვები პროდუქტის კომპონენტი ორგანიზმისათვის არის ცხიმები. ადამიანმა ცხიმები ყოველდღიურად 106-153 გრამი უნდა მიიღოს. აქედან: ცხოველური 70-80 პროცენტი, დანარჩენი კი მცენარეული წარმოშობისა.

ადამიანის ასაკის მატებასთან ერთად, რეკომენდებულია, დღიურ ულუფაში თანდათან შემცირდეს ცხოველური ცხიმები; მაგალითად 40-50 წლის ასაკში საჭიროა ცხოველური ცხიმი 60 პროცენტი, მცენარეული — 40 პროცენტი, 50-60 წლის ასაკში — ცხოველური ცხიმი 50 პროცენტი, მცენარეული — 50 პროცენტი. 60 წლის ზევით ცხოველური ცხიმის ხვედრითი წონა კიდევ უნდა შემცირდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს რეკომენდაციები ადამიანმა უნდა მიიღოს მკურნალი ექიმისაგან.

შემდეგი საკვები პროდუქტის აუცილებელი კომპონენტია ნახშირწყლები, ნახშირწყლების, ე. ი. სხვადასხვა შაქრების სადღეღამისო ნორმა 430-630 გრამია. აქედან ჩვეულებრივი შაქარი უნდა იყოს 50-80 გრამის ფარგლებში, მაშინ, როცა საკვები რაციონი სწორად არის შედგენილი. აღსანიშნავია, რომ შაქრის გადაჭარბებული მიღება ხელს უწყობს ათეროსკლეროზის წარმოშობას, მაშინ, როდესაც ნორმის ფარგლებში შაქრის და სხვა სახის ტკბილეულის მიღება არამცთუ სასიამოვნო, სასარგებლოც არის.

კვების კიდევ ერთი აუცილებელი კომპონენტია ვიტამინები, ურომლისოდაც ცოცხალი ორგანიზმის არსებობა წარმოუდგენელია. ვიტამინები ორ ჯგუფად იყოფა: ერთი ჯგუფი ვიტამინების — „ც", „პ" — წყალში ხსნადია, მეორე ჯგუფში კი შედის ცხიმებში ხსნადი ვიტამინები — „ა", „დ", „ე" და „კ". ვიტამინების საშუალო სადღეღამისო მოთხოვნილება ადამიანის ორგანიზმისათვის შეიძლება დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ კვება მრავალფეროვანი და ბალანსირებულია; ე. ი. თუ კვების რაციონში შედის, როგორც ცხოველური, ისე მცენარეული პროდუქტები, მინერალური მარილები, ვიტამინები. მათი სადღეღამისო ოდენობა დამოკიდებულია აგრეთვე სხვადასხვა ფაქტორზე, კერძოდ რა პირობებში ეხდება ადამიანს ცხოვრება, შრომა. მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე კლიმატს, კვების ფონს, ასაკს და ფიზიოლოგიურ მდგომარეობას (მაგ. ორსულობა, ორსულობის შემდგომი პერიოდი, როცა დედა თავისი რძით კვებავს ახალშობილს).

თუ დიდი ხნის განმავლობაში ადამიანი ვიტამინებით ღარიბი საკვებით იკვებება, ამას შეუძლია მოჰყვეს მძიმე დაავადება — ავიტამინოზი.

კვების შემდეგი აუცილებელი კომპონენტია აგრეთვე სხვადასხვა მინერალური მარილები: რკინა, კალციუმი, მაგნიუმი, კალიუმი, სპილენძი და სხვა, რომელთაც კვების პროდუქტები სხვადასხვა რაოდენობით შეიცავს (ხორცეული, თევზეული, რძე, ბოსტნეული, მწვანილი); თუ კვების რაციონი სწორად არის შედგენილი, რასაკვირველია, ადამიანი ღებულობს საკმაო რაოდენობით მინერალურ მარილებს, ანუ მიკროელემენტებს.

და ბოლოს, ადამიანის ორგანიზმისათვის ერთ-ერთი აუცილებელი სასიცოცხლო წყარო წყალი, რომლის რაოდენობა ქსოვილებში 60 პროცენტზე მეტია.

ლუდვიგ ბარნოვსკი,
საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი-ჰიგიენისტი.

## ● წერილები რედაქციას ● წერილები რედაქციას ● წერილები რედაქციას ● წერილები რედაქციას ●

### არცერთი ლოთი და უმუშევარი

მამაჩემი ორმოცდაათს მიტანებული კაცია, მაგრამ არასდროს უმუშავია. ოჯახში ხუთი სული ვართ და მხოლოდ დედაჩემი მუშაობს. ერთ საცოდავ ქალს შევყურებთ მე, ჩემი დები და მუქთახორა მამა.

მე და ჩემს დებს მამის ნაყიდი ერთი ცხვირსახოციც არ გვახსოვს. რაც არა აქვს, რით გვიყიდოს. ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი ვარ და 17 ბედნიერი დღე არ მახსოვს.

ოჯახური უსიამოვნების გამო გულჩათხრობილი და გულცივი გავხდი. ამხანაგები ვეღარ მცნობენ. თუ რომელიმე მეტყვის შენთან მოვალ და ერთად ვიმეცადინოთო, უარს ვეუბნები, რაღაცას ვიმიზეზებ.

მე ძალიან მახარებს ამხანაგების თანაგრძნობა, მაგრამ მათ არ იციან ჩემი წუხილის ნამდვილი მიზეზი. მიზეზი მამაჩემია, რომელიც ყოველდღე ჩხუბობს, ყვირის, არავის არ ერიდება და არც ეხათრება. ნებისმიერ საზოგადოებაში უცენზურო სიტყვებით იგინება, სულ ვიღაცას ამცირებს, ვიღაცას რაღაცას ედავება და ამ დავას არა აქვს დასასრული.

ამასწინათ ყური მოვკარით, რეიდებზე დადიან, უმუშევრებს მკაცრად უსწორდებიანო. გაგვეხარდა, ვიფიქრეთ ახლა კი გვეშველება, მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა, რეიდს ჩვენამდე არ მოუღწევია..

ისე რომ, მამაჩემი ძველებურად განაგრძობს თავის ცხოვრებას — არ მუშაობს და ყოველდღე თვრება.

დღესაც უზომოდ დალია, მერე ჩხუბი ატეხა ოჯახში. მე და ჩემმა დებმა შეშინებულებმა გავიღვიძეთ. საიდანაც ჩხუბის ხმა შემოგვესმა, იმ ოთახისაკენ გავიქეცით და რას ვხედავთ, დედაჩემს ჩაფრენია. ყვირილი ატეხეთ, ხმაურზე მეზობლები შემოცვივდნენ და რაღაცნაირად დააწყნარეს.

ვინ იცის, კიდევ რამდენი უბედურება გველის ღვინოზე შეყვარებული მამისაგან. დიახ, მამაჩვენს ღვინოზე მეტად არავინ და არაფერი უყვარს, სძულს ყველა და ყველაფერი.

ძვირფასო რედქციავ, იქნებ რამენაირად დაგვეხმაროთ უმუშევართა მიმართ ბრძოლის გამკაცრებაში. იქნებ ნებით თუ ძალით მამაჩვენიც ჩაებას საზოგადოებრივ საქმიანობაში და ოჯახის ასაწიოკებლად ნაკლები დრო დარჩეს.

დები გურჯაანიდან

### „ის კაცი"

თოთხმეტი წლისა ვარ და დედასთან და ბებიასთან ვცხოვრობ. მამა არა გვყავს. ცამეტი წლის წინ დაგვტოვა და წავიდა თურმე მამაჩემი, ან საიდანაა მამაჩემი, არასდროს არ მინახავს. ის ხომ ჩემთვის არ არსებობს, ამიტომ ის ჩემს თვალში არაფერს არ წარმოადგენს და ასე ვახსენებ — "ის კაცი".

ხშირად ვფიქრობ, ნეტა როგორია. მაღალი, ლამაზი, ძლიერი, და, რაც მთავარია კეთილი რომ მყავდეს, რა კარგი იქნებოდა, როგორი ბედნიერი ვიქნებოდი. მისი გვარი შემრჩენია მხოლოდ. რომ იტყვიან, ბარგად მაწევს ზურგზე.

მეჯირს ამის თქმა, მაგრამ მშურს ჩემი ნათესავების, მეზობლებისა თუ კლასელებ-

ის, მამები რომ ჰყავთ და მის სიახლოვეს ცხოვრობენ.

მე და დედა ერთნი ვართ, დედას არ ვარცხვენ, არც შევარცხვენ, არც საქციელით, არც სწავლით. დედა ცდილობს არაფერი მომაკლოს. ასეც არის. მე არც ზღვა მაკლია, არც მთა.

მე და დედა დედა-შვილიც ვართ და კარგი მეგობრებიც.

რა ვუწოდოთ, მე რომ მყავს, ისეთ მამებს?

**მ. ბ. თელავი**

## „შენ ისა ხარ"!

ჩემს მეგობარს შვიდი წლის სიყვარული გაუმართლდა და ოჯახი შექმნა. ერთი წლის შემდეგ გოგონა შეეძინათ. დარწმუნებული ვიყავი, რომ შვიდი წლის სიყვარული გაათკეცებით გადიზრდებოდა უმანკო არსებაში და ბედნიერზე ბედნიერები იქნებოდნენ.

ჩემი მეგობარი ახლაც ვერ იხსენებს, როდის შეიპარა მათ სულში ბზარი, რამ აფიქრებინა მის მეუღლეს მიეტოვებინა ცოლი და ექვსი თვის ბავშვი. ახლაც ტკივილსა და ცრემლს ჰგვრის თხუთმეტი წლის წინანდელი ამბავი. მასთან შეხვედრისას ვცდილობ, არ გავამახვილო ყურადღება ჩემი ოჯახის მყუდროებაზე, ვიცი არ შეშურდება, მაგრამ სადღაც გული დაწყდება. თვითონ რაღა დააშავა, რომ ასე წაუვიდა საქმე.

ახლა მისი გოგონა თხუთმეტი წლისაა. ამასწინანდელმა მისმა ნაამბობმა გული მატკინა.

ასეთი ამბავი მომიყვა: „თქვენ იცით, რომ მამამ ექვსი თვისა მიმატოვა. გადმოცემით ვიცოდი, რომ ცოცხალია, კარგადაა, ორი გოგონა ჰყავს და იმასაც მეუბნებოდნენ, ძალიან ჰგავხარო...

მამის სიყვარული არ ვიცი, არც თვალი მომიკრავს. მწამს მხოლოდ დედა, რომელიც მზრდის და ჩემს იქით თუ არსებობს რაიმე, ვერც წარმოუდგენია.

და აი, გასული შემოდგომის ერთ დღეს, მასწავლებელმა დამიძახა — ნანა შენი ბიძა გეძახის (ასე გააცნო თავი ჩემს აღმზრდელს), ნახვა სურსო. გაურკვეველი ოცნებით დავეშვი კიბეზე, სულმოუთქმელად მივედი კარებთან. ვიღაც კაცი სუნთქვაშეკრული მომჩერებოდა. მცირე დუმილის შემდეგ მითხრა: — როგორა ხარ, ნანა...

მე პასუხი არ გამიცია, თვალმოუშორებლად ვაკვირდებოდი მისი სახის ყოველ ნაკვთს, ჩვენს შორის დიდი მსგავსება აღმოვაჩინე და აღელვებულმა შევყვირე:

— ვიცი, შენ ისა ხარ! —და ისეთი ტირილი ამივარდა, რომ როგორ შემიყვანეს საკლასო ოთახში, აღარ მახსოვს.

მერე ალბათ, ის კაცი ისევ თავის ორ გოგონასთან წავიდა... განა შეიძლება უყვარდეს მამობრივი სიყვარულით ისინი? — არა მჯერა. ის ხომ მამობას მე ვაზიარე და თუკი მე არ ვუყვარვარ, ისინი როგორ ეყვარება".

**ქ. შ. გურჯაანი**

## რატომ დაინგრა ოჯახი?

ერთი შვილი მყავს. მართალია, გულს მაკლია, მაგრამ თავს იმათ ვიწყნარებ, რომ ბიჭი შრომისა და სწავლის სიყვარულით გავზარდე.

მართლაც, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ინსტიტუტში მისაღები გამოცდები ყოველგვარი რეპეტიტორების გარეშე ჩააბარა.

მისმა უმაღლესში მოწყობამ უზომოდ გაგვახარა. ხუთ წელიწადში ინჟინერი შვილი გვეყოლებოდა. ბედნიერად ვთვლიდით თავს და ველოდით კვლავ დიდ ბედნიერებას, ოჯახში რძლის შემოსვლას.

ამ ამბავმაც არ დააყოვნა. შეყვარებულებს ჩვენს ჩუმად შეეტანათ განცხადება ქორწინების სახლში. გავიგეთ და კარგი ქორწილიც გადავუხადეთ.

სახლის ჭერმა თითქოს მაღლა აიწია. სტუდენტებმა სიხარულითა და სიყვარულით შექმნეს ოჯახი. რძალი პირველი კურსის სტუდენტი იყო, შვილი კი — მესამე კურსისა.

ოჯახში ურთიერთგაგება და სითბო ტრიალებდა. წლისთავზე მემკვიდრე შეგვეძინა. ვხარობდით შვილით, რძლით და პატარა შვილიშვილით. ჩვენ ხომ მათ მეტი არავინ გვყავდა საზრუნავად და საფიქრალად, [illegible]ალ ოჯახს თავს დავტრიალებდით.

ჩემი ვაჟი მოსიყვარულე მეუღლე და მამა გამოდგა, რაც ძალიან გვსიამოვნებდა. ასე დაამთავრეს სტუდენტებმა უმაღლესი სასწავლებელი, და საოცრებაც მოხდა, რძალმა ხასიათი ისე შეიცვალა, რომ ერთ დღეს გამომიცხადა:

— ორი ქალი ერთ ოჯახში ვერ ვიცხოვრებთ, ჩვენ უნდა გადავიდეთ ნათესავის ბინაშიო.

ამ სიტყვების გაგონებაზე თვალთ დამიბნელდა, გონება დამიჩლუნგდა. ერთ ხანს ასე ვიყავი, როცა გონს მოვედი, ვუპასუხე:

— ნება თქვენია, სადაც კარგად იქნებით, იქ იცხოვრეთ-მეთქი..

თურმე ეს ამბავი მისი მშობლების სურვილითაც ხდებოდა. მეორე დღეს გადაბარგდნენ ნათესავის ბინაში.

დავრჩით მე და ჩემი მეუღლე დაცარიელებულები და გაოგნებულები, მაგრამ იქაც არ ვაკლებდით მზრუნველობას, ვეხმარებოდით რითაც შეგვეძლო. რძალს მაინც უკმაყოფილებას ვამჩნევდით, ცივად გვხვდებოდა, ხშირად უფულობას უჩიოდა, ქმრის ხელფასი არ აკმაყოფილებდა. გაჩნდა ბზარი ახალგაზრდა ოჯახში, რაც დღითი დღე იზრდებოდა. ჩვენ ცოლ-ქმრის საოჯახო საქმეებში არ ვერეოდით, გვეშინოდა არ გაგვეუარესებინა მდგომარეობა.

ხშირად გაკვირვებული ვფიქრობდი, და ჩემს თავს მეათასედ ვეკითხებოდი, რა მოხდა— ბიჭი მუშაობს, სამაგალითო მეუღლეა, არ ლოთობს, არ ეწევა, ფული სხვაგან არ მიაქვს, ცუდ გზაზე არ დგას, რა არის ოჯახის ბზარის მიზეზი? აკი სიყვარულით შეუღლდნენ!

„ამ ოჯახის დანგრევის მიზეზი ფულია, საკმარისი ფული არ მოჰქონდა თურმე თქვენს თითით საჩვენებელ შვილს, ამიტომ ქალმა ქმარი შეიძულა" — ასეთი ბრალდება წამოგვიყენა ქალიშვილის გულშემატკივარმა დედამ.

ჯერ განქორწინებულებიც არ იყვნენ, რომ რძალი გათხოვდა სხვაზე, მიატოვა ბავშვი, ქმარი, ოჯახი...

ანგარებაზე აგებული ოჯახების ბოლო ასე მთავრდება.

**დედა.**

---

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58. საერთო განყოფილების — 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 5. 03. 88 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.04.88 წ. ქაღალდის ზომა 60×1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8, ტირაჟი 167.000. შეკვ. 623, უე 04741. **Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 58.**



მიწა ზეიმობს

დავით იაკობაშვილის ფოტოეტიუდი

ინდექსი 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა








# საქართველოს სავაჭრო-კულტურული ცენტრი არბატზე

წერილი

იხილეთ

მე-12

გვერდზე



ფასი 30 კაპ.